შპს „რომპეტროლ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 1
ანგარიში მოგება-ზარალისა და სხვა ერთობლივი შემოსავლის შესახებ 2
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 3
ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ 4
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 5
1. კომპანია და მისი საქმიანობა 5
2. კომპანიის სამუშაო გარემო 5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 6
4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას 21
5. ახალი და შესწორებული სტანდარტებისა და განმარტებების მიღება 24
6. ბუღალტრული აღრიცხვის ახალი წესები 26
7. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 32
8. ქონება და აღჭურვილობა 33
9. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები 35
10. სასაქონლო-მატერიალური მარაგები 36
11 . სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები 37
12. ფული და ფულის ეკვივალენტები 39
13. საწესდებო კაპიტალი 39
14. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები 39
15. შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან 40
16. რეალიზაციის ხარჯი 40
17. სადისტრიბუციო ხარჯები 40
18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 41
19. ფინანსური ხარჯები 41
20. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები 41
21. ფინანსური რისკების მართვა 43
22. ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შესახებ 51
23. კაპიტალის მართვა 53
24. მოვლენები ანგარიშგების პერიოდის შემდეგ 53
25. სააღრიცხვო პოლიტიკა 2019 წლის 1 იანვრამდე 54

სხვა ინფორმაცია - მმართველობითი ანგარიში 2019 წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „რომპეტროლ საქართველოს“ მფლობელს და ხელმძღვანელობას

ჩვენი დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს შპს „რომპეტროლ საქართველოს“ (შემდგომში, „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას შესაბამისი წლისათვის, საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის სტანდარტებისა და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად.

აუდიტის ფარგლებში ჩვენ შევამოწმეთ:

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- ანგარიშგებას მოგება-ზარალის და სხვა ერთობლივი შემოსავლის შესახებ მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის;
- ანგარიშგებას კაპიტალში ცვლილების შესახებ მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის;
- ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის;
- ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების ფარგლებში ჩვენს მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტორულ შემოწმებაზე. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მონაცემები საკმარისი და შესაბამისია იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ჩვენი აუდიტორული დასკვნის საფუძვლად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი) შესაბამისად და ასევე ვიცავთ ჩვენს ეთიკურ პასუხისმგებლობებს IESBA კოდექსის თანახმად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშს (მაგრამ არ მოიცავს ამ ფინანსური ანგარიშგებებს და ჩვენს აუდიტორულ დასკვნა). ჩვენი დასკვნა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე არ ფარავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა გავეცნოთ მმართველობით ანგარიშს და ამ სახით განვიხილოთ არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტორული შემოწმების დროს ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვაგვარად ავლენს არსებით უზუსტობებს. თუ შესრულებული სამუშაოს შემდგომ გამოვავლენთ რომ მმართველობით ანგარიშში წარმოდგენილი მატერიალური ინფორმაცია შეუსაბამოა, ჩვენ ვალდებულები ვართ აღვნიშნოთ ეს ფაქტი. ამ მხრივ, ანგარიშთან მიმართებით განსახილველი არაფერია.

გარდა ამისა, ჩვენ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ვალდებულები ვართ გამოვხატოთ მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიში მარეგულირებელი ნორმატიული აქტების კონკრეტულ დებულებებს და განვიხილოთ მოიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიში აღნიშნული კანონმდებლობით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობით ანგარიშში მოცემული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომელზეც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობით ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მეშვიდე მუხლის მეექვსე პარაგრაფის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობის და იმ პირთა პასუხისმგებლობები, რომლებსაც ევალებათ ფინანსური ანგარიშგების მართვა

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მენეჯმენტის მიერ განსაზღვრულ ისეთ შიდა კონტროლზე, რათა უზრუნველყონ ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადდეს, რომელიც თავისუფალი იქნება ფინანსური ცდომილებების, გაყალბებისა თუ შეცდომისგან.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის უწყვეტად ფუნქციონირების უნარი, საჭიროების შემთხვევაში გაამჟღავნოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობასთან და გამოიყენოს უწყვეტად ფუნქციონირების პრინციპი სააღრიცხვო პოლიტიკაში, გარდა იმ შემთხვევისა თუ მენეჯმენტი არ აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეჩერებას, ან არ აქვს რეალისტური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ ასე მოიქცეს.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები, პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტორულ შემოწმებაზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მიზანშეწონილია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების გაუმჟღავნებლობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებთან და ვითარებებთან მიმართებით, რომლებმაც შესაძლებელია ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის არსებობის პერსპექტივა. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენს აუდიტორულ დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეაჩეროს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტად ფუნქციონირების პრინციპით;
- ვახდენთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად პრეზენტაციის, სტრუქტურის და შინაარსის, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნების შეფასებას და ასევე ვაფასებთ ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს, იმ გვარად, რომ მიღწეულია მოვლენების სამართლიანი პრეზენტაცია.

სხვა მრავალ საკითხებთან ერთად, მართვაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული დასკვნების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში გამოვლენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

PricewaterhouseCoopers Georgia LLC-ს სახელით (რეგ.#SARAS-F-775813)

ნინო ქადაგიშვილი (რგ. #SARAS-A-506913)
30 ივნისი, 2020 წ.
თბილისი, საქართველო.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში *(თანხები გამოსახულია ათას დოლარებში)*

აქტივები	*შენიშვნა*	*2019 წლის 31 დეკემბერი*	*2018 წლის 31 დეკემბერი*
გრძელვადიანი აქტივები			
ქონება და აღჭურვილობა	8	15,973	14,982
საინვესტიციო ქონება		570	570
აქტივების გამოყენების უფლება	9	15,239	-
არამატერიალური აქტივები		543	496
სულ გრძელვადიანი აქტივები		**32,325**	**16,048**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10	19,606	14,035
სხვა წმინდა საგადასახდო აქტივი		626	-
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	11	6,123	7,639
ფული და ფული ეკვივალენტები	12	928	846
სულ მიმდინარე აქტივები		**27,283**	**22,520**
სულ აქტივები		**59,608**	**38,568**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	5,765	5,765
გაუნაწილებელი მოგება		2,194	5,720
სულ კაპიტალი		**7,959**	**11,485**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	9	12,920	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**12,920**	**-**
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	9	4,421	-
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები		-	4,009
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	14	33,172	21,929
გადავადებული შემოსავალი		1,136	1,145
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**38,729**	**27,083**
სულ ვალდებულებები		**51,649**	**27,083**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**59,608**	**38,588**

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელი მოწერილია 2020 წლის 30 ივნისს.

ზამანბეკ მირზაიანოვი
გენერალური დირექტორი

მალიკ ტულეკოვი
ფინანსური დირექტორი

შპს „რომპეტროლ საქართველო“

თანხები გამოსახულია ათას დოლარებში	*შენიშვნა*	*2019*	*2018*
შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	15	200,271	201,018
რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯი	16	(184,507)	(189,016)
მთლიანი მოგება		**15,764**	**12,002**
სხვა საოპერაციო შემოსავალი		83	98
სადისტრიბუციო ხარჯები	17	(10,073)	(11,254)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(4,142)	(3,964)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(992)	(478)
უცხოური ვალუტის გაცვლის შედეგად წმინდა მოგება (ზარალის გარეშე)		168	97
საოპერაციო მოგება (ზარალი)		**808**	**(3,499)**
ფინანსური შემოსავალი		81	63
ფინანსური ხარჯი	19	(2,341)	-
ზარალი დაბეგვრამდე		**(1,452)**	**(3,436)**
მოგების გადასახადი		-	-
ზარალი წლის განმავლობაში		**(1,452)**	**(3,436)**
სხვა ერთობლივი შემოსავალი საანგარიშო წლისთვის		-	-
სულ მთლიანი ზარალი წლის განმავლობაში		**(1,452)**	**(3,436)**

5-60 გვერდებზე მოცემული თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

თანხები გამოსახულია ათას დოლარებში	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	*სულ კაპიტალი*
2017 წლის 31 დეკემბერი	**5,765**	**9,156**	**14,921**
ზარალი წლის განმავლობაში		(3,436)	(3,436)
სულ მთლიანი ზარალი 2018 წლის განმავლობაში		(3,436)	(3,436)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**5,765**	**5,720**	**11,485**
ახალი სტანდარტების მიღება		(2,074)	(2,074)
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	**5,765**	**3,646**	**9,411**
ზარალი წლის განმავლობაში		(1,452)	(1,452)
სულ მთლიანი ზარალი 2019 წლის განმავლობაში		(1,452)	(1,452)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**5,765**	**2,194**	**7,959**

5-60 გვერდებზე მოცემული თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

თანხები გამოსახულია ათას დოლარებში	შენიშვნა	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(1,452)	(3,436)
კორექტირებები:			
ქონება-აღჭურვილობის ცვეთა და ამორტიზაცია	8	1,672	1,504
გამოყენების უფლების მქონე აქტივების ცვეთა	9	4,096	-
სხვა არამატერიალური აქტივების ცვეთა და ამორტიზაცია	17	114	94
სავაჭრო და დებიტორული დავალიანების გაუფასურება	11	31	120
ქონება-აღჭურვილობის ჩამოწერიდან მიღებული მოგება		(12)	(4)
ფინანსური ხარჯები	19	2,341	-
ფინანსური შემოსავალი		(81)	(63)
უცხოური ვალუტის გაცვლის შედეგად წმინდა მოგება (ზარალის გარეშე)		(31)	(34)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე		6,678	(1,819)
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შემცირება/(ზრდა)	11	1,485	(1,327)
მარაგების შემცირება/(ზრდა)	10	(5,571)	2,837
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების შემცირება/(ზრდა)	14	10,343	4,133
გადავადებული შემოსავლის შემცირება		(9)	(306)
სხვა გადასახადების ნაშთის შემცირება		(4,635)	(865)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		1,613	4,472
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		87	63
გადახდილი პროცენტი		(1,366)	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**7,012**	**2,716**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ქონებისა და აღჭურვილობის შესყიდვა	8	(2,759)	(4,530)
ფულადი სახსრები ქონებისა და აღჭურვილობის გაყიდვიდან		108	91
გადახდები არამატერიალური აქტივების შეძენისთვის		(163)	(17)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(2,814)**	**(4,456)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან			
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა - ძირითადი თანხა		(4,143)	-
ფინანსური საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(4,143)**	**-**
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე		27	34
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**12**	**846**	**2,552**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**12**	**928**	**846**

5-60 გვერდებზე მოცემული თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშები შპს „რომპეტროლ საქართველო“-სთვის (შემდგომში „კომპანია“) მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

კომპანია დაფუძნდა 2005 წლის 5 დეკემბერს და მოქმედებს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ჩამოყალიბებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ორგანოში საიდენტიფიკაციო ნომრით 204493002.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო და ერთადერთი მაკონტროლებელი მხარე არის KMG INTERNATIONAL N.V.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საწვავის იმპორტი, საცალო და საბითუმო ვაჭრობა საქართველოს ტერიტორიაზე. საცალო ქსელი შედგება 80 ბენზინგასამართი სადგურისგან საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც იჯარით არის აღებული მესამე მხარეებისგან და მუშაობს „რომპეტროლის“ სახელით.

რეგისტრირებული ოფისი და საქმიანობის წარმოების ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, გამრეკელის ქ.19. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0171, მ. ალექსიძის ქ.12, ბიზნეს ცენტრი „მეფე დავითი“, მეოთხე სართული.

საპრეზენტაციო ვალუტა. ფინანსური ანგარიშები წარმოდგენილია დოლარებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2. კომპანიის სამუშაო გარემო

მომზადების საფუძვლები კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობა ხორციელდება საქართველოში.

საქართველო ხასიათდება განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლებით, მათ შორის მაღალი საპროცენტო განაკვეთით და მაღალი ინფლაციით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას ახასიათებს განსხვავებული ინტერპრეტაციები და ხშირი ცვლილებები (შენიშვნა 20).

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ გახორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ სფეროებში განვითარებასთან ერთად.

კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა იმ მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს ბიზნეს-სექტორზე და ზოგადად ეკონომიკაზე და, შესაბამისად, მათ შედეგებზე (ამგვარის არსებობის შემთხვევაში), რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზეც. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი იღებს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშები მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად. ანგარიშები მომზადდა თავდაპირველი ღირებულების მეთოდით, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებაში ცვლილებების შეტანით მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით

ქვემოთ მოცემულია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას. გარდა სააღრიცხვო პოლიტიკისა, ასევე წარმოდგენილია ცვლილებები, რაც გამოწვეულია IFRS 16 მიღებით, რომელიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან, თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი (იხ. შენიშვნა 5 და 25). ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელმაც გამოიყენებოდა 2018 წლის 31 დეკემბრამდე არსებულ იჯარების აღრიცხვაზე წარმოდგენილია შენიშვნაში 25.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული შეფასების სააღრიცხვო სისტემის გამოყენებას. მენეჯმენტს აგრეთვე მოეთხოვება საკუთარი შეფასებების დაფიქსირება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ის მიმართულებები, რომლებსაც სჭირდება უფრო მაღალი ხარისხის განსჯა ან კომპლექსურობა, ან ის მიმართულებები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, მოცემულია მე – 4 შენიშვნაში.

უცხოურ ვალუტაში გადაყვანა. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა აშშ დოლარი ("USD" ან "US Dollar") შემდეგი ფაქტების გამო: ა) კომპანია წარმოადგენს მშობელი კომპანიის უცხოური საქმიანობის განუყოფელ ნაწილს, რაც გულისხმობს მისი ოპერაციების გაფართოებას მშობელი კომპანიისგან განსხვავებულ გარემოში; კომპანია მნიშვნელოვნად არის ურთიერთდაკავშირებული მშობელ კომპანიასთან და ისინი მუშაობენ როგორც ერთიანი ბიზნესი და არა ავტონომიური ერთეული; ბ) სასაქონლო მარაგების შეძენა ძირითადად ხდება მშობელი კომპანიისგან, ხოლო ფასები განისაზღვრება აშშ დოლარის გაცვლითი კურსების გათვალისწინებით. შეძენის ღირებულება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვების ფასის განსაზღვრაში; გ) მეორადი ინდიკატორები, რომლებიც ზრდის აშშ დოლარის როლს, არის ფინანსური საქმიანობის ვალუტა, რომელიც გამოხატულია აშშ დოლარში. ფუნქციონალური ვალუტის სხვაგვარად არჩევის შემთხვევაში, უცხოური ვალუტის გაცვლიდან მიღებული მოგება/ ზარალი შეიძლება განსხვავებული იყოს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია აშშ დოლარში.

ტრანზაქციები და ნაშთები. მონეტარული აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საანგარიშო პერიოდის დასრულების თარიღისთვის მოქმედი, საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. სავალუტო საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ტრანზაქციების და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. სავალუტო საკურსო სხვაობიდან მოგება და ზარალი, რომლებიც ეხება სესხებს, წარმოდგენილია ანგარიშში ერთობლივი შემოსავლების შესახებ, მუხლში "ფინანსური შემოსავალი ან ხარჯები". ყველა სხვა ტიპის კურსთა შორის სხვაობიდან მოგება და ზარალი მოცემულია ერთობლივი შემოსავლის ანგარიშში, მუხლში „უცხოური ვალუტის გაცვლის შედეგად წმინდა მოგება (ზარალის გარეშე)". საანგარიშო პერიოდის დასრულების თარიღისთვის მოქმედი, საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად დოლარში კონვერტირება არ ეხება არა მონეტარულ პოზიციებს. ისტორიული ღირებულებით შეფასებულ არა მონეტარულ მუხლები, მათ შორის საწესდებო კაპიტალში ინვესტიციებს, კონვერტირდება დოლარში იმ დღის კურსით რომელიც იყო სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს. არსებული ეფექტი არა მონეტარულ აქტივებზე, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებიდან, აღრიცხულია როგორც მოგება ან ზარალის ნაწილი დაკავშირებული სამართლიან ღირებულებით აღრიცხვასთან.

2019 წლის 31 დეკემბერს, ოფიციალური გაცვლითი კურსი, საქართველოს ეროვნული ბანკის განსაზღვრით, შეადგენდა შემდეგს: 1 აშშ დოლარი ("USD") = 2.8677 ლარი და 1 აშშ დოლარი ("USD") = 0,8935 ევრო (2018 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი ("USD") = 2.6766 ლარი და 1 აშშ დოლარი ("USD") = 0,8718 ევრო).

ძირითადი საშუალებები. კომპანიის ძირითადი საშუალებები აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, მინუს აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების რეზერვი. დაუმთავრებელ მშენებლობის (CIP) კატეგორიაში მოცემულია მშენებარე აქტივები, რომელიც ძირითად საშუალებებად იქნება გამოყენებული მომავალში.

დაკავშირებული ხარჯები შეტანილია აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივად, გარემოებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შედინება კომპანიაში და მისი ღირებულების საიმედოდ აღრიცხვა. მცირე რემონტისა და ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების ხარჯების აღრიცხვა ხდება მათი გაწევის შემდეგ. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი კომპონენტების შეცვლის ხარჯი კაპიტალიზირდება, ხოლო შეცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხელმძღვანელობა ახდენს შეფასებას, ხომ არ შეინიშნება ძირითადი საშუალებების გაუფასურება. ამგვარი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს ასანაზღაურებელ თანხას, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად: აქტივის უმაღლეს

სამართლიან ღირებულებას გამოკლებული რეალიზაციის დანახარჯები და მისი სამომხმარებლო ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ასანაზღაურებელ თანხამდე და ღირებულების შემცირებით გამოწვეული ზარალის აღიარება ხორციელდება მოგებასა ან ზარალში მოცემული წლისთვის იმ პირობით, რომ იგი უნდა აჭარბებდეს უწინდელ, გადაფასებით მიღებულ შემოსავალს, ასახულს საკუთარ კაპიტალში და სხვა საერთო მოგებაში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალი დაექვემდებარება გაუქმებას იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება აქტივის სამომხმარებლო ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებული შეფასებითი მაჩვენებლები, ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული რეალიზაციის ხარჯები.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ან ლიკვიდაციის შედეგად წარმოქმნილი მოგება და ზარალი აღირიცხება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში .

ცვეთა. მიწა, დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა არ ექვემდებარება ცვეთას. ძირითადი საშუალებების სხვა კომპონენტების ცვეთა გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით იმისათვის, რომ მათი ღირებულება გადანაწილდეს მათსავე ნარჩენ ღირებულებებზე, მათი სავარაუდო საექსპლუატაციო ვადების განმავლობაში.

	სასარგებლო მომსახურების ვადები წლების მიხედვით
შენობები და სხვა კონსტრუქციები	2-32
მანქანა-დანადგარები და ვაჭრობისთვის საჭირო აღჭურვილობა	1-32
საოჯარო ქონების გაუმჯობესება	იჯარის ვადაზე და სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი (2-16)
საოფისე აღჭურვილობა	1-19
სატრანსპორტო საშუალებანი	6-10

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს საანგარიშო თანხას, რომელიც შესაძლოა მოცემული დროისთვის მიიღოს კომპანიამ აქტივის გასხვისებიდან, მინუს გასხვისების საორიენტაციო ხარჯები, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და სასარგებლო საექსპლუატაციო ვადის დასრულებისთვის მოსალოდნელ მდგომარეობაში იმყოფება. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო საექსპლუატაციო ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებად კლასიფიცირებულ აქტივებს აქვთ ნარჩენი ღირებულება.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება გააჩნია კომპანიას საიჯარო შემოსავლის ან კაპიტალის მისაღებად, ან ორივე მიზნით.

საინვესტიციო ქონება აღირიცხება საფასურით, რომელსაც აკლდება ცვეთა და ზარალი, იმ შემთხვევებში, სადაც აღნიშნული საჭიროა. იგი განიცდის ცვეთას წრფივი მეთოდის გამოყენებით სავარაუდო მომსახურების ხანგრძლივობასთან მიმართებით. თუ არის მითითება, რომ საინვესტიციო ქონება ზარალის მომტანია, კომპანია შეაფასებს სარეალიზაციო ოდენობას უმაღლესი გამოყენებითი ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც გამოაკლდება გაყიდვის ხარჯი. საინვესტიციო ქონების მიმდინარე ღირებულება ჩამოიწერება აქტივის სარეალიზაციო ღირებულებამდე, ხოლო შედეგი აისახება შესაბამისი წლის მოგების ან ზარალი ანგარიშგებაში. წინა წლების გაუფასურების ზარალი უქმდება თუ გამოვლინდება ცვლილებები აქტივის სარეალიზაციო ღირებულების შეფასების მეთოდში.

საინვესტიციო ქონებაში არსებული მიწა არ იცვითება.

გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება როგორც მოგება ან ზარალი საოპერაციო შემოსავალში არსებული პერიოდისთვის. მოგება ან ზარალი საინვესტიციო ქონების ჩამოწერიდან გამოითვლება მიღებულ შემოსავალს გამოკლებული მიმდინარე ღირებულება და აღირიცხება საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში.

აქტივის გამოყენების უფლება. კომპანია იჯარით იღებს გასამართ სადგურებს, საოფისე ფართს და საწყობს. ხელშეკრულებები შეიძლება შეიცავდეს როგორც საიჯარო, ასევე არა-საიჯარო კომპონენტებს. კომპანია ხელშეკრულებაში გამოყოფს კომპენსაციას საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებისთვის მათი დამოუკიდებელი ფასების საფუძველზე.

იჯარისგან წარმოქმნილი აქტივები თავდაპირველად ფასდება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე.

აქტივის გამოყენების უფლება ფასდება ღირებულებით, რომლებიც მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების საწყისი ღირებულები ოდენობა,
- ნებისმიერი საიჯარო გადასახადი, რომლებიც განხორციელდა დაწყების თარიღამდე ან დაწყების თარიღზე, გამოკლებული მიღებულ ნებისმიერი საიჯარო ფულადი სარგებელი,
- ნებისმიერი საწყისი პირდაპირი ხარჯი, და
- საიჯარო ხელშეკრულებით მოთხოვნილ პირობებში აქტივის შენახვის ხარჯები.

აქტივის გამოყენების უფლება ზოგადად უფასურდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გასვლისთანავე და იჯარის მოქმედების ვადის წრფივი მეთოდით. თუ კომპანია გააზრებულად არის დარწმუნებული, რომ გამოიყენებს გამოსყიდვის შესაძლებლობას, აქტივის გამოყენების უფლება უფასურდება ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულების მიხედვით. აქტივის გამოყენების უფლების ნივთებზე გაუფასურება გამოითვლება წრფივი მეთოდით, მათი შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
გასამართი სადგურები	5-დან 20 -მდე
საოფისე ფართი და სხვა შენობები	2-დან 15-მდე

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვთ განსაზღვრული სიცოცხლის ხანგრძლივობა და ძირითადად მოიცავენ კაპიტალიზირებულ კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებს.

შეძენილი ლიცენზიები ეფუძნება კაპიტალიზირდება იმ ხარჯებით, რაც გაწეულ იქნა მათ შესასყიდად და დასამონტაჟებლად. სხვა ყველა ხარჯი, რომელიც ასოცირებულია პროგრამულ უზრუნველყოფასთან, მაგალითად, მისი მომსახურება, აისახება ხარჯებში მათი გაწევისთანავე.

ლიცენზიები ამორტიზებულია წრფივი მეთოდით 3-10 წლის სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების მიმდინარე ღირებულება ჩამოიწერება ლიცენზიის სარეალიზაციო და სამართლიან ღირებულებას, გამოკლებული აქტივის ჩამოწერის ხარჯები, შორის უმაღლესი ღირებულებით.

არა ფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ცვეთა ერიცხებათ, მიმოიხილავენ გაუფასურების თვალსაზრისით, როდესაც მოვლენების ან ვითარების ცვლილება მიუთითებს, რომ შეიძლება საბალანსო ღირებულება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის აქტივის სამართლიან ღირებულებას, გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის აქტივებს აჯგუფებენ რაც შეიძლება უმცირეს დონეზე, რომელზეც არსებობს დამოუკიდებელი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არა ფინანსური აქტივების წინა პერიოდის გაუფასურება ყოველი საანგარიშგებო თარიღით გადაისინჯება, გაუფასურების შესაძლო გაუქმების მიზნით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. მათი კლასიფიკაციის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი.

სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ღირებულებას, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადახდილი იქნეს ვალდებულების გადაცემისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგებისას შეფასების თარიღზე. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, რომლის პირობებშიც აქტივთან თუ ვალდებულებასთან დაკავშირებული გარიგებები საკმარისი სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფასწარმოქმნის შესახებ ინფორმაცია რეგულარულ საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება აქტიურ ბაზარზე იზომება, როგორც პროდუქტის კვოტირებული ფასი ინდივიდუალურ აქტივზე ან ვალდებულებაზე და ინსტრუმენტების რიცხვზე, რომელსაც ფლობს პირი. არის შემთხვევა, როცა ბაზრის ჩვეულებრივი დღიური სავაჭრო მოცულობაც კი უძლურია დააკმაყოფილოს არსებული რაოდენობა და შეკვეთების განთავსება პოზიციების გასაყიდად იწვევს კვოტირებული ფასის ცვლილებას.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი ან დამოუკიდებელ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის პრინციპით“ ბოლოდროინდელ გარიგებებზე დაფუძნებული მეთოდები ან ინვესტიციის მიმღების შესახებ ინფორმაციის გათვალისწინება, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებთან დაკავშირებითაც უცხოური ბაზრების ფასების შესახებ არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია.

სამართლიანი ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მათი დონის მიხედვით: (i) პირველი დონის შეფასებებია აქტიურ ბაზრებზე კვოტირებული (არა კორექტირებულ) ფასები იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისთვის, (ii) მეორე დონის შეფასებებია მეთოდები, რომლებშიც აღინიშნება ყველა მატერიალური დანახარჯი აქტივის ან ვალდებულებისთვის, პირდაპირი (როგორიც არის ფასები) ან არაპირდაპირი გზით (ანუ ფასებიდან გამოყვანილი), და (iii) მესამე დონის შეფასებებია შეფასებები, რომლებიც არ ემყარება მხოლოდ არსებულ საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან ხელმიუწვდომელ საბაზრო მონაცემებს). მიიჩნევა, რომ არჩევადობა სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის მოხდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს. იხ. შენიშვნა 22

გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები არის დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასხვისებას. დამატებითი ხარჯებია ის ხარჯები, რომლებიც არ შეიძლება გაწეული იქნეს, თუ არ ხორციელდება გარიგება. გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის (იმ თანამშრომლების ჩათ ვლით, რომლებიც მოქმედებენ როგორც გაყიდვების აგენტები), მრჩევლებისთვის, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საკომისიოს და ანაზღაურებას, მარეგულირებელი სააგენტოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს და გადარიცხვის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიებს ან ფასდაკლებებს, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მარაგების შენახვის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება წარმოადგენს თანხას, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იქნა თავდაპირველად აღიარებული, ძირითადი თანხის ნებისმიერი დაფარვის გამოკლებით, მაგრამ დაგროვილი პროცენტების დამატებით, ხოლო ფინანსური აქტივებთან მიმართებაში – გაუფასურებით გამოწვეულ ზარალზე ნებისმიერი ჩამოწერილი თანხების გამოკლებით. დაგროვილი პროცენტები მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯების და

ნებისმიერი პრემიის თუ დისკონტის ამორტიზებას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი პროცენტებით მიღებული შემოსავალი და ზარალი, დაგროვილი კუპონების შემოსავლისა და ამორტიზირებული დისკონტის ან პრემიის ჩათვლით (წარმოშობისას გადავადებული მოსაკრებლების ჩათვლით, მათი არსებობის შემთხვევაში), არ არის წარმოდგენილი დამოუკიდებლად და არ არის გათვალისწინებული შესაბამისი პუნქტების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯების შესაბამის პერიოდზე იმგვარად გადანაწილების მეთოდი, რომ მიღწეული იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის საშუალებითაც ზუსტად ხორციელდება სამომავლო საანგარიშო ნაღდი ანგარიშსწორებების ან მიღებების დისკონტირება (სამომავლო საკრედიტო დანაკარგების გამოკლებით) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო მოქმედების ვადის ან უფრო მოლე პერიოდის განმავლობაში (შესაბამის შემთხვევებში), ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საშუალებით ხორციელდება სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის ხელახალი შეფასების მომდევნო თარიღისთვის, პრემიისა და იმ ფასდაკლების გამოკლებით, რომელიც ასახავს საკრედიტო "სპრედს" ინსტრუმენტში განსაზღვრულ მცურავ განაკვეთთან მიმართებაში, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ დგინდება საბაზრო განაკვეთებთან დაკავშირებით. ამგვარი პრემიებისა ან დისკონტების ამორტიზება ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი მოქმედების ვადის განმავლობაში. წინამდებარე გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გახორციელებულ ყველა სახის გადახდილ თუ მიღებულ ანაზღაურებას, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, კორექტირებული ტრანზაქციების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ტრანზაქციების ფასი. საწყის აღიარებაზე მოგება ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც სამართლიანი ღირებულება და ტრანზაქციის ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები ან შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით და FVOCI მეთოდით სავალო ინსტრუმენტებში არსებული ინვესტიციებით , რაც გამოიწვევს მყისიერ სააღრიცხვო ზარალს.

ფინანსური აქტივების ყიდვა–გაყიდვა, რომელიც შესაბამისი წესების ან ბაზრის შესახებ კონვენციის („სტანდარტული წესით“ ყიდვა-გაყიდვა) თანახმად მოითხოვს დადგენილ ვადებში მიწოდებას, აღირიცხება გარიგების დღით, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს თარიღს, როდესაც კომპანია იღებს ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას. ყველა სხვა სახის შესყიდვების აღიარება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც იურიდიული პირი ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგი შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL), რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და ამორტიზებული ღირებულებით (AC). სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (1) კომპანიის დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელზე და (2) ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები-კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი გვიჩვენებს, როგორ ახორციელებს კომპანია აქტივების მართვას ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - სადაც, კომპანიის მიზანია (1) აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად“) ან (2) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება (სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად), ან არც(1) და არც (2) არ ვრცელდება, მაშინ ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც „სხვა“ ბიზნეს-მოდელის ნაწილი და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვის გზით (FVTPL).

ბიზნეს მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დასახული მიზნის მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შესაბამისი მტკიცებულების საფუძველზე. ბიზნეს მოდელის განსაზღვრისას კომპანია შემდეგ ფაქტორებს ითვალისწინებს: პორტფელის დანიშნულება და შემადგენლობა, წარსული გამოცდილება - როგორც მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებისგან, როგორც ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება.

ფინანსური აქტივები-კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია შეაფასებს, ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებულ პროცენტის გადახდას (SPPI). როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვლილების შესაძლებლობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-

ზარალში ასახვით, SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. კომპანია არ მოუხდენია მისი ბიზნეს მოდელის ცვლილება მიმდინარე და შესადარისი პერიოდის განმავლობაში და რეკლასიფიკაცია არ განუხორციელებია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება-საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით სავალო ინსტრუმენტებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (1) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (2) ფულის დროითი ღირებულება და (3) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. აღნიშნული განაკვეთი დამოკიდებულია ბოლო 12 თვეზე გადახდის პროფილზე, და შესაბამისი ისტორიული საკრედიტო დანაკარგებზე ამ პერიოდში. ისტორიული დანაკარგების მაჩვენებლები კორექტირდება მიმდინარე და მოსალოდნელი ინფორმაციის მისაღებად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი როგორც კომპანიამ გამოთვალა 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 2019 წლის 1 იანვრისთვის არ იყო მატერიალური.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე უფლებები სხვაგვარადაა შეწყვეტილი, ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე ან დადო სპეციალური ტრანზიტული შეთანხმება, რომლის თანახმად (i) კომპანიამ გადასცა აქტივების ფლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკი და სარგებელი ან (ii) კომპანიას არ გადაუცია და არც შეუნარჩუნებია აქტივების ფლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკი და სარგებელი, და არც მათზე კონტროლი შეუნარჩუნებია. კონტროლი ნარჩუნდება მაშინ, როდესაც მეორე

მხარეს პრაქტიკულად არ შეუძლია სრულად მიყიდოს აქტივი არა დაკავშირებულ მესამე მხარეს, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები - შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“ (AC) შეფასებული, გარდა (1) რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული (FVTPL) ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ. ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია)ს, პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას, და (2) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება.)

ფინანსური ინსტრუმენტების გაქვითვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გაქვითვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხმობის იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს წმინდა საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების შესრულების განზრახვა. აღნიშნული ჩათვლის უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე: და (ბ) უნდა იყოს იურიდიულად აღსრულებადი ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში (1) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (2) ვალდებულებების შეუსრულებლობისას და (3) გადახდისუუნაროობისას ან გაკოტრებისას.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიანი, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან (1) ისინი არსებობენ სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას (SPPI) წარმოადგენს და (2) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულება (FVTPL). მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურიზაცია, კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს SPPI ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება და მაინც ძალაში იქნება იმ შემთხვევაშიც კი, კანონმდებლობა რომ შეიცვალოს.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველი სამართლიანი ღირებულებით აღიარდება და აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება აღიარდება მაშინ, როდესაც მეორე მხარე ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ისინი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საიჯარო ვალდებულებები. ვალდებულებები რომელიც იჯარისგან წარმოიშვება შეფასდება მიმდინარე ღირებულებით. იჯარის ვალდებულებები მოიცავს ფიქსირებული იჯარის გადახდის წმინდა მიმდინარე ღირებულებას (მათ შორის ფიქსირებული გადახდები), რომელსაც აკლდება იჯარის დებიტორული დავალიანება. სხვაობა რეალურ საიჯარო გადახდებსა, რომელიც დამოკიდებულია გასამართი სადგურების თვიურ ნავაჭრზე, და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მინიმალურ საიჯარო გადასახადს შორის აღიარდება საოპერაციო ხარჯად და აისახება მოგებაში ან ზარალში.

იჯარის ვადის გაგრძელების და შეწყვეტის ვარიანტები გათვალისწინებულია გარკვეული რაოდენობის გასამართი სადგურის შემთხვევაში. ეს გამოიყენება მაქსიმალური ოპერაციული მოქნილობისთვის, კომპანიის მიერ აქტივების მართვის თვალსაზრისით. ვადის გაგრძელების უფლება უმეტესად აქვს კომპანიას და არა შესაბამისი მეიჯარეს, ხოლო შეწყვეტის უფლებით შეიძლება ისარგებლოს კომპანიამ, ისე შესაბამისმა მეიჯარემ. იჯარის ვადის გაგრძელების პირობები (ან პერიოდი იჯარის ვადის შეწყვეტის შემდეგ) შედის საიჯარო პირობებში, თუ ორმხრივადაა შეთანხმებული იჯარის გაგრძელება (ან არ-შეწყვეტა). ვალდებულების გაზომვის პროცესი აგრეთვე მოიცავს საიჯარო გადასახადებს, რომელთა გადახდაც გათვალისწინებულია იჯარის ვადის გაგრძელების პირობებში.

იჯარის გადასახადები დისკონტირებულია კომპანიის დამატებითი სესხის აღების პროცენტის გამოყენებით, იმ განაკვეთით, რომლითაც კომპანია გადაიხდიდა სესხის თანხას რაც საჭირო იქნებოდა გამოყენების უფლებით აქტივის ანალოგიური ღირებულების, მსგავს ეკონომიკურ გარემოში მსგავსი პირობებით, კოლატერალური და მსგავსი მდგომარეობის აქტივის მისაღებად.

ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის დასადგენად, კომპანია იყენებს აშშ დოლარის დენომინირებული სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთს, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებსაიტზე.

იჯარის გადასახადები იყოფა ძირითად თანხად და ფინანსურ ხარჯად. ფინანსურ ხარჯები აისახება მოგება ან ზარალში, იჯარის პერიოდის განმავლობაში, ისე, რომ წარმოქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი, თითოეული პერიოდის ვალდებულების დარჩენილი ბალანსისთვის.

აღჭურვილობისა და მანქანების მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული გადასახადები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც ხარჯი და აისახება მოგებასა ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარა არის იჯარა, რომლის მოქმედების ვადა არის 12 თვე ან ნაკლები.

ოპერაციული იჯარა. თუკი კომპანია მოიჯარეს წარმოადგენს იმ ტიპის იჯარის შემთხვევაში, როდესაც მეიჯარის მხრიდან არ ხდება კომპანიისთვის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა, საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება მოცემული წლის სხვა შემოსავალში, წრფივი მეთოდით.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში მოქმედი კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ლომბარდების გარდა) 2018 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა ე.წ „აგროსილ“ ღირებულებაზე (ანუ წმინდა დივიდენდები აიგროსება 5%-იანი დაქვითვის გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2018 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარე მოგების გადასახადით დაბეგვრას აგროსილ თანხაზე, ხოლო გადახდილი მოგების გადასახადი ექვემდებარება ჩათვლას. ჩასათვლელი მოგების გადასახადი გამოითვლება, როგორც ნაწილი გადახდილი დეკლარირებულ დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების პროპორციულად, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე, თუმცა, ჩასათვლელი მოგების გადასახადის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე გადასახდელ ფაქტიური მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა

ან პერიოდისა, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. პირობითი მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშვება დივიდენდების გადახდისგან არ აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილებასთან ერთად, მოგების გადასახადით იბეგრება ასევე ის ხარჯები და სხვა გადახდები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით დანახარჯებთან, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ ნორმას. ყველა გადახდილი ავანსი იმ საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს პირებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. გადახდილი მოგების გადასახადები ბრუნდება იმ მომენტში, როცა სხვა გადასახადებთან ერთად, შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისგან მოგების გადასახადით დაბეგრილი ავანსის სანაცვლოდ მიაწვდიან აქტივებს ან მომსახურებას, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების დაბრუნების მომენტში. დაბრუნებული მოგების გადასახადი საოპერაციო ხარჯებში ასახულ მუხლში - „გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა“, საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, იმ ოპერაციებზე სადაც უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი საგადასახადო პოზიციის კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი („დღგ”) ექვემდებარება საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას მას შემდეგ, რაც საქონელი იქნება მოწოდებული, ან მომსახურება გაწეული. გადახდილი დღგ–ს ჩათვლა ხორციელდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიღების შემდეგ. საგადასახადო კანონმდებლობით ნებადართულია დღგ–ს გადახდა ნეტო–საფუძველზე. შესაბამისად, ყიდვა–გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ, რომლის გადახდაც გახორციელდა საანგარიშო პერიოდის დასრულებისას, მიეთითება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში ნეტო–საფუძველზე. როდესაც იქმნება დებიტორული დავალიანების

გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის საერთო თანხასთან დაკავშირებით, დღგ–ს ჩათვლით.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის საფასურსა და სხვა ხარჯებს, რაც საჭირო გახდა მათ მიმდინარე ადგილმდებარეობაზე შესაბამის მდგომარეობაში მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება, როგორც ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობიდან დადგენილი სარეალიზაციო ფასი, გამოკლებული აქტივის დასრულებისთვის შეფასებული დანახარჯები და სარეალიზაციო ხარჯები.

ფინანსური ვალდებულებები - შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“ (AC) შეფასებული, გარდა (1) რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული (FVTPL) ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ. ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია)s, პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას, და (2) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება.)

ფინანსური ინსტრუმენტების გაქვითვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გაქვითვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხმობის იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს წმინდა საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების შესრულების განზრახვა. აღნიშნული ჩათვლის უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე: და (ბ) უნდა იყოს იურიდიულად აღსრულებადი ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში (1) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (2) ვალდებულებების შეუსრულებლობისას და (3) გადახდისუუნარობისას ან გაკოტრებისას.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიანი, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან (1) ისნი არსებობენ სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას (SPPI) წარმოადგენს და (2) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულება (FVTPL). მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურიზაცია, კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს SPPI ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება და მაინც ძალაში იქნება იმ შემთხვევაშიც კი, კანონმდებლობა რომ შეიცვალოს.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველი სამართლიანი ღირებულებით აღიარდება და აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება აღიარდება მაშინ, როდესაც მეორე მხარე ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ისინი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საიჯარო ვალდებულებები. ვალდებულებები რომელიც იჯარისგან წარმოიშვება შეფასდება მიმდინარე ღირებულებით. იჯარის ვალდებულებები მოიცავს ფიქსირებული იჯარის გადახდის წმინდა მიმდინარე ღირებულებას (მათ შორის ფიქსირებული გადახდები), რომელსაც აკლდება იჯარის დებიტორული დავალიანება. სხვაობა რეალურ საიჯარო გადახდებსა, რომელიც დამოკიდებულია გასამართი სადგურების თვიურ ნავაჭრზე, და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მინიმალურ საიჯარო გადასახადს შორის აღიარდება საოპერაციო ხარჯად და აისახება მოგებაში ან ზარალში.

იჯარის ვადის გაგრძელების და შეწყვეტის ვარიანტები გათვალისწინებულია გარკვეული რაოდენობის გასამართი სადგურის შემთხვევაში. ეს გამოიყენება მაქსიმალური ოპერაციული მოქნილობისთვის, კომპანიის მიერ აქტივების მართვის თვალსაზრისით. ვადის გაგრძელების უფლება უმეტესად აქვს კომპანიას და არა შესაბამისი მეიჯარეს, ხოლო შეწყვეტის უფლებით შეიძლება ისარგებლოს კომპანიამ, ისე შესაბამისმა მეიჯარემ. იჯარის ვადის გაგრძელების პირობები (ან პერიოდი იჯარის ვადის შეწყვეტის შემდეგ) შედის საიჯარო პირობებში, თუ ორმხრივადაა შეთანხმებული იჯარის გაგრძელება (ან არ-შეწყვეტა). ვალდებულების გაზომვის პროცესი აგრეთვე მოიცავს საიჯარო გადასახადებს, რომელთა გადახდაც გათვალისწინებულია იჯარის ვადის გაგრძელების პირობებში.

იჯარის გადასახადები დისკონტირებულია კომპანიის დამატებითი სესხის აღების პროცენტის გამოყენებით, იმ განაკვეთით, რომლითაც კომპანია გადაიხდიდა სესხის თანხას რაც საჭირო იქნებოდა გამოყენების უფლებით აქტივის ანალოგიური ღირებულების, მსგავს ეკონომიკურ გარემოში მსგავსი პირობებით, კოლატერალური და მსგავსი მდგომარეობის აქტივის მისაღებად.

ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის დასადგენად, კომპანია იყენებს აშშ დოლარის დენომინირებული სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთს, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებსაიტზე.

იჯარის გადასახადები იყოფა ძირითად თანხად და ფინანსურ ხარჯად. ფინანსურ ხარჯები აისახება მოგება ან ზარალში, იჯარის პერიოდის განმავლობაში, ისე, რომ წარმოქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი, თითოეული პერიოდის ვალდებულების დარჩენილი ბალანსისთვის.

აღჭურვილობისა და მანქანების მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული გადასახადები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც ხარჯი და აისახება მოგებასა ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარა არის იჯარა, რომლის მოქმედების ვადა არის 12 თვე ან ნაკლები.

ოპერაციული იჯარა. თუკი კომპანია მოიჯარეს წარმოადგენს იმ ტიპის იჯარის შემთხვევაში, როდესაც მეიჯარის მხრიდან არ ხდება კომპანიისთვის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა, საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება მოცემული წლის სხვა შემოსავალში, წრფივი მეთოდით.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში მოქმედი კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ლომბარდების გარდა) 2018 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა ე.წ „აგროსილ“ ღირებულებაზე (ანუ წმინდა დივიდენდები აიგროსება 5%-იანი დაქვითვის გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2018 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარე მოგების გადასახადით დაბეგვრას აგროსილ თანხაზე, ხოლო გადახდილი მოგების გადასახადი ექვემდებარება ჩათვლას. ჩასათვლელი მოგების გადასახადი გამოითვლება, როგორც ნაწილი გადახდილი დეკლარირებულ დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების პროპორციულად, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე, თუმცა, ჩასათვლელი მოგების გადასახადის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე გადასახდელ ფაქტიური მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა

ან პერიოდისა, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. პირობითი მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშვება დივიდენდების გადახდისგან არ აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილებასთან ერთად, მოგების გადასახადით იბეგრება ასევე ის ხარჯები და სხვა გადახდები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით დანახარჯებთან, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ ნორმას. ყველა გადახდილი ავანსი იმ საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს პირებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. გადახდილი მოგების გადასახადები ბრუნდება იმ მომენტში, როცა სხვა გადასახადებთან ერთად, შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისგან მოგების გადასახადით დაბეგრილი ავანსის სანაცვლოდ მიაწვდიან აქტივებს ან მომსახურებას, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების დაბრუნების მომენტში. დაბრუნებული მოგების გადასახადი საოპერაციო ხარჯებში ასახულ მუხლში - „გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა“, საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, იმ ოპერაციებზე სადაც უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი საგადასახადო პოზიციის კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი („დღგ”) ექვემდებარება საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას მას შემდეგ, რაც საქონელი იქნება მოწოდებული, ან მომსახურება გაწეული. გადახდილი დღგ–ს ჩათვლა ხორციელდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიღების შემდეგ. საგადასახადო კანონმდებლობით ნებადართულია დღგ–ს გადახდა ნეტო–საფუძველზე. შესაბამისად, ყიდვა–გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ, რომლის გადახდაც გახორციელდა საანგარიშო პერიოდის დასრულებისას, მიეთითება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში ნეტო–საფუძველზე. როდესაც იქმნება დებიტორული დავალიანების

გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის საერთო თანხასთან დაკავშირებით, დღგ–ს ჩათვლით.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის საფასურსა და სხვა ხარჯებს, რაც საჭირო გახდა მათ მიმდინარე ადგილმდებარეობაზე შესაბამის მდგომარეობაში მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება, როგორც ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობიდან დადგენილი სარეალიზაციო ფასი, გამოკლებული აქტივის დასრულებისთვის შეფასებული დანახარჯები და სარეალიზაციო ხარჯები.

გადახდილი ავანსები. სხვადასხვა სახის წინასწარი ანგარიშსწორება აისახება ფაქტიური ღირებულებით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი (წინასწარი გადახდა ხდება უმცირესი საფასურით, და რეალიზაციის ნეტო ღირებულებით). წინასწარი ანგარიშსწორება კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული საქონელი და მომსახურება სავარაუდოდ შეძენილი იქნება ერთი წლის შემდეგ ან როდესაც წინასწარი ანგარიშსწორება უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თვითონაა კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი ანგარიშსწორება გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია იძენს აქტივზე კონტროლის უფლებას და როდესაც სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებულ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს კომპანია მიიღებს. სხვა სახის წინასწარი ანგარიშსწორება ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, როდესაც ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული საქონელი და მომსახურება მიღებულია. თუ არსებობს მინიშნება, რომ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, წინასწარი ანგარიშსწორების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი გატარდება წლის მოგებასა ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები ტარდება როგორც ვალდებულება და იქვითება საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამდე, სანამ გაიცემა ნებართვა ფინანსური ანგარიშების გამოშვებაზე, აღიარებულია შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები წარმოადგენს განუსაზღვრელი ვადის ან ოდენობის მქონე არა ფინანსურ ვალდებულებებს. ისინი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე კანონიერი ან ფორმალური ვალდებულება წარსული მოვლენების

შედეგად, არის იმის ალბათობა, რომ ვალდებულების შესასრულებლად საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის მომტანი რესურსების გადინება, და ვალდებულების თანხა შეიძლება სარწმუნოდ განისაზღვროს.

ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისთვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების მიმდინარე ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისთვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც ადგილი ექნება დამავალდებულებელ მოვლენას, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, თუ გადასახადი დამავალდებულებელ მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსის სახით.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარებულია წმინდა ღირებულებით, ფასდაკლების, დაბრუნებადი გადახდებისა და დღგ-ს გამოკლებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. კომპანიის მომხმარებლები იყოფა 2 ჯგუფად: საცალო ქსელი მომხმარებლები და საბითუმო მომხმარებლები. გაყიდვები აღიარებულია მაშინ, როდესაც საქონელზე კონტროლი გადაცემულია ანუ საქონელი მიწოდებულია მომხმარებლისთვის, მომხმარებელს სრული დისკრეციული უფლება აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულებები, რომლებიც გავლენას იქონიებს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაზიდულია მომხმარებელთან და მან მიიღო საქონელი ხელშეკრულების შესაბამისად, მიღების მდგომარეობა ამოიწურა ან კომპანიას აქვს დასაბუთებული მტკიცებულება იმისა, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილდა.

ფასდაკლებით რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის საფუძველზე, სავარაუდო წმინდა ფასდაკლებით მოცულობაზე.

დაფინანსების არანაირი ელემენტი არ არის წარმოდგენილი გაყიდვებში, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს წინასწარი გადახდის პირობებით ან საქონელზე არსებული კონტროლის გადაცემის

ადგილას. გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა შეთანხმებული იყოს განსხვავებული გადახდის პირობები, თუმცა გადავადება არასდროს აღემატება თორმეტ თვეს, შესაბამისად, დაფინანსების არანაირი ელემენტი არ იქნება წარმოდგენილი და ტრანზაქციის ფასი არ შეიცვლება მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის გავლენით.

მოთხოვნა აღიარებულია, მაშინ როდესაც პროდუქტი მიწოდებულია, რადგანაც ეს დროის ის მონაკვეთია როდესაც ანაზღაურება.

ფიქსირებულ ფასზე დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, როდესაც მომხმარებელი იხდის წინასწარ თანხას გადახდის გრაფიკის შესაბამისად, გადავადებული შემოსავალი აღიარებულია, თუ გადახდები აღემატება მოწოდებულ საქონელს.

მომხმარებელთა ლოიალურობის პროგრამა. კომპანიას გააჩნია ლოიალურობის პროგრამა ორივე ტიპის მომხმარებლისთვის, სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ ფასდაკლება სამომავლო შესყიდვაზე წინა შესყიდვის მოცულობის გათვალისწინებით. დაგროვებული გამოცდილებაზეა დამოკიდებული ფასდაკლება, რომელიც გამოითვლება მისაღებ სავარაუდო ღირებულების მეთოდით, ხოლო შემოსავალი აღიარდება მხოლოდ მაშინ თუ დიდი ალბათობაა, რომ ტრანსაქცია არ გაუქმდება. გადავადებული შემოსავალი (შესულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) აღიარდება სავარაუდო მოცულობასთან დაკავშირებული ფასდაკლებით, რომელიც უნდა მიიღოს მომხმარებლებმა იმ რეალიზაციაზე, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდეა შესრულებული.

თანამშრომელთა სარგებელი. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა შესაბამისი მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაზე მისი გამოცემის შემდეგ. გამოცემის შემდეგ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისთვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის თანხმობა, რომელიც ადასტურებს ამ ფინანსურ ანგარიშგებას.

4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებების და დაშვებების მუდმივი გადახედვა ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა წარმოადგენს აგრეთვე გარკვეულ დაშვებებს. ის დაშვებები,

რომლებსაც შეუძლიათ ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებული მხარეების გარიგებების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას კომპანია აფორმებს გარიგებებს მასთან დაკავშირებული მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. დაშვება გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს გარიგებების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრება თუ არასაბაზრო განაკვეთებით, თუ არ არსებობს აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებებისთვის.

დაშვება ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ტიპის გარიგებების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებული მხარეების აღრიცხვის წესები და პირობები მოცემულია #7 შენიშვნაში.

საშემოსავლო გადასახადები. საქართველოს საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. შესაბამისად, საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებები საგადასახადო ორგანოების მიერ, რაც ეხება კომპანიის გარიგებებსა და საქმიანობას, შესაძლოა არ ემთხვეოდეს ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციას. შედეგად, საგადასახადო ორგანოებმა შესაძლოა განახორციელონ დამატებითი ტრანზაქციები, დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და საპროცენტო განაკვეთები, რაც მნიშვნელოვანია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მათი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შესაბამისია და შენარჩუნდება კომპანიის სწორი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის პოზიციები.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად მათი გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული თვალსაზრისით მოძველება ან ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივების ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილი სარგებლიანი მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივების მიერ კომპანიის მიმართ სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი. გასათვალისწინებელია შემდგომი ძირითადი ფაქტორები: ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება, ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე და გ) ტექნიკური თუ კომერციული მოძველება, წარმოშობილი საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად.

იმ შემთხვევაში, სადაც სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები განსხვავდება ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული შეფასებებისგან 10%-ით, 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ცვეთაზე გავლენა იქნება შემდეგი: ან ცვეთის ხარჯს 186 ათასი დოლარით გაზრდის ან 152 ათასი დოლარით შემცირებს (2018 წ: გაზრდა 167 ათასი დოლარით ან შემცირება 137 ათასი დოლარით).

აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურება. საიჯარო პირობების განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს ყველა ფაქტს და გარემოებას, რაც ქმნის ეკონომიკურ ინსენტივს, გამოიყენოს თუ არა იჯარის ვადის გაგრძელების უფლება. ვადის გაგრძელების შესაძლებლობა (ან ვადის შეწყვეტის უფლება) საიჯარო პირობებში ასახულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დიდი ალბათობითაა მოსალოდნელი იჯარის ვადის გაგრძელება (ან არ-შეწყვეტა).

ავტო გასამართი სადგურებისა და შენობების იჯარებისთვის, ძირითადად ყველაზე რელევანტურია ქვემოთ მოცემული ფაქტორები:

- თუ კომპანიის სტრატეგიას წარმოადგენს მისი საქმიანობის გაფართოება, როგორც წესი, კომპანია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ გააგრძელებს იჯარას (ან არ შეწყვეტს);
- თუ არსებობს მნიშვნელოვანი პირგასამტეხლოები დაკავშირებული ვადის შეწყვეტასთან (ან იჯარის ვადის არ გაგრძელებასთან), კომპანიას როგროც წესი აგრძელებს (ან არ შეწყვიტოს) იჯარას.

წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანია განიხილავს სხვა ფაქტორებს, მათ შორის წარსულში იჯარის ხანგრძლივობას და ღირებულებას, გარდა ამისა, იმ ხარჯებს რომელიც დაკავშირებულია იჯარით აღებული აქტივის ჩანაცვლებასთან. ძირითად შემთხვევაში ავტო გასამართი სადგურისა და მშენებლობის იჯარის ვადის გაგრძელების შესაძლებლობა ასახულია საიჯარო ვალდებულებაში, რადგან კომპანია არ განიხილავს ბიზნეს საქმიანობაში უკვე ჩართული აქტივების შეცვლას.

იჯარის ვადის გაგრძელება და შეწყვეტა. მნიშვნელოვანი რაოდენობის აქტივის გამოყენების უფლების იჯარის შემთხვევაში, იჯარის ვადის გაგრძელების და შეწყვეტის ვარიანტები ასახულია ხელშეკრულებაში. ეს განპირობებულია მაქსიმალური საოპერაციო მოქნილობისთვის და კომპანიის საქმიანობაში გამოყენებული აქტივების ეფექტურად მართვის მიზნით. იჯარის ვადის გაგრძელების უფლება უმეტეს შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ კომპანიის მხრიდან და არა შესაბამისი მეიჯარის მიერ.

საიჯარო პირობების განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს ყველა ფაქტს და გარემოებას, რაც ქმნის ეკონომიკურ ინსენტივს, გამოიყენოს თუ არა იჯარის ვადის გაგრძელების უფლება. ვადის გაგრძელების შესაძლებლობა (ან ვადის შეწყვეტის უფლება) საიჯარო პირობებში ასახულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დიდი ალბათობითაა მოსალოდნელი იჯარის ვადის გაგრძელება (ან არ-შეწყვეტა).

ავტო გასამართი სადგურებისა და შენობების იჯარებისთვის, ძირითადად ყველაზე რელევანტურია ქვემოთ მოცემული ფაქტორები:

- თუ კომპანიის სტრატეგიას წარმოადგენს მისი საქმიანობის გაფართოება, როგორც წესი, კომპანია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ გააგრძელებს იჯარას (ან არ შეწყვეტს);
- თუ არსებობს მნიშვნელოვანი პირგასამტეხლოები დაკავშირებული ვადის შეწყვეტასთან (ან იჯარის ვადის არ გაგრძელებასთან), კომპანიას როგროც წესი აგრძელებს (ან არ შეწყვიტოს) იჯარას.
- წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანია განიხილავს სხვა ფაქტორებს, მათ შორის წარსულში იჯარის ხანგრძლივობას და ღირებულებას, გარდა ამისა, იმ ხარჯებს რომელიც დაკავშირებულია იჯარით აღებული აქტივის ჩანაცვლებასთან.

ძირითად შემთხვევაში ავტო გასამართი სადგურისა და მშენებლობის იჯარის ვადის გაგრძელების შესაძლებლობა ასახულია საიჯარო ვალდებულებაში, რადგან კომპანია არ განიხილავს ბიზნეს საქმიანობაში უკვე ჩართული აქტივების შეცვლას.

საიჯარო ვალდებულებებისთვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი. კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს დისკონტირების განაკვეთის გამოსათვლელად, რადგან საპროცენტო განაკვეთი იჯარასთან მიმართებით დროულად ვერ დგინდება.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის დისკონტირების განაკვეთში 10%-იანი ზრდა ან შემცირება გამოიწვევს საიჯარო ვალდებულებების 264 ათასი დოლარის ოდენობით გაზრდას ან შემცირებას (2019 წლის 1 იანვარი: 348 აშშ დოლარი).

5. ახალი და შესწორებული სტანდარტებისა და განმარტებების მიღება

ფასს 16 „იჯარა“ (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და ძალაში შედის იმ საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ).

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს სტანდარტი მისი ძალაში შესვლის თარიღიდან 2009 წლის 1 იანვრის შემდგომ და გამოიყენოს შეცვლილი რეტროსპექტიული მეთოდი შედარებების გარეშე და სტანდარტით ნებადართული გამარტივებითა ისარგებლოს. აქტივის გამოყენების უფლების ღირებულება შეფასდა ახალი წესზე გადასვლის მომენტისთვის, იმის ეფექტის გათვალისწინებით, რომ წინა პერიოდიც ახალი წესით აღრიცხული, მუდმივად მოქმედებდა. ყველა სხვა აქტივის გამოყენების უფლება იზომება საიჯარო სტანდარტზე გადასვლის მომენტში საიჯარო ვალდებულების ღირებულებით (კორექტირდება წინასწარ გადახდილი ან დაგროვებული ხარჯებით).

ფასს 16 სტანდარტის პირველი მიღებიდან, კომპანია იყენებდა სტანდარტით ნებადართულ შემდეგ პრაქტიკულ ზომებს:

- ერთნაირი დისკონტირებული განაკვეთის გამოყენება იჯარის იმ პორტფოლიოზე, რომელსაც ჰქონდა მსგავსი მახასიათებლებით;
- წინა შეფასებაზე დაყრდნობა იმის განსასაზღვრად არის თუ არა იჯარა წამგებიანი, როგორც ალტერნატიული გზა აქტივის გაუფასურების შესაფასებლად - 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ არსებობდა წამგებიანი ხელშეკრულებები;
- 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 12 თვეზე ნაკლები ვადის საოპერაციო იჯარების აღრიცხვა, როგორც მოკლევადიან იჯარები;

კომპანიამ ასევე გადაწყვიტა, რომ არ შეეფასებინა ხელშეკრულება შეიცავდა თუ არა იჯარის ელემენტებს, მათი პირველადი გამოყენებისას. ამის ნაცვლად, იმ ხელშეკრულებებისთვის, რომელიც მოქმედი იყო სტანდარტზე გადასვლამდე, კომპანია ეყრდნობა IAS 17-ის შეფასებას, იჯარებს და IFRIC 4 სტანდარტს იმ განსასაზღვრად მოიცავდა თუ არა შეთანხმება იჯარას.

საშუალო ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც კომპანიამ გამოიყენა საიჯარო ვალდებულებების შესაფასებლად 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იყო 8%.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა არაგაუქმებადი საიჯარო ვალდებულებები 32,356 ათასი დოლარის ოდენობით. ამ ვალდებულებებიდან, 128 ათასი დოლარი წარმოადგენდა მოკლევადიან იჯარას. ორივე ტიპის ვალდებულება აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე მოგებაში ან ზარალში.

იმ საოპერაციო საიჯარო ვალდებულებების შედარება, რომელიც მოცემულია მე-20 შენიშვნაში შემდეგია:

ათასობით დოლარში	31 დეკემბერი 2018/ 1 იანვარი 2019
სულ სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახადი იმ საოპერაციო იჯარიდან, რომელიც არ ექვემდებარება გაუქმებას* 2018 წლის 31 დეკემბერს (შენიშვნა 20)	32,356
მიმდინარე ღირებულების დისკონტირების ეფექტი	(12,264)
აკლდება მოკლევადიანი იჯარა, რომელიც არაა ვალდებულებად აღიარებული	(128)
სულ აღიარებული საიჯარო ვალდებულებები 2019 წლის 1 იანვრისთვის, რომელთაგანაც	19,964
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	3,640
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	16,324

*იჯარა, რომელიც არ ექვემდებარება გაუქმებას გულისხმობს იჯარას, რომელიც უქმდება მხოლოდ :ა) რაიმე გაუთვალისწინებელი მიზეზის წარმოშობით ბ) მოიჯარის ნებართვით, გ) თუ იჯარა აღიარდება როგორც ახალი იჯარა ანალოგიურ ან მსგავსი, ექვივალენტ აქტივზე და ფორმდება იმავე მეიჯარესა და მოიჯარეს შორის დ) მეიჯარის მიერ დამატებითი გადასახადის გადახდისას თუ იჯარის ვადის გაგრძელება მიზანშეწონილია.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აისახა შემდეგნაირად:

ათასობით დოლარში	შენიშვნა	ფასს 16 მიღების გავლენა
აქტივის გამოყენების უფლების - ზრდა	9	17,890
საიჯარო ვალდებულებები - ზრდა	9	(19,964)
შემცირება კაპიტალში - გაუნაწილებელი მოგება		(2,074)

2019 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს შემდეგი შეცვლილი სტანდარტები, თუმცა მათ არ ქონიათ მატერიალური გავლენა კომპანიაზე:

- ფასიკ 23 „მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა“ (გამოიცა 2017 წლის 7 ივნისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ)
- წინასწარი გადახდის ფიუჩერსები ნეგატიური ანაზღაურებით - ფასს 9-ის ცვლილება (გამოიცა 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ)
- ბასს 28-ის ცვლილება “ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში (გამოიცა 2017 წლის 12 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ)
- ფასს-ების 2015-2017 წლიური გამარტივებები - ფასს 3 და 11, ბასს 12 და 23 ცვლილებები (გამოიცა 2017 წლის 12 დეკემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ)
- ბასს 19-ის ცვლილება „ გეგმის ცვლილება, შეკვეცა ან ანგარიშსწორება“ (გამოიცა 2018 წლის 7 თებერვალს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ)

6. ბუღალტრული აღრიცხვის ახალი წესები

გამოცემული იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და განმარტებები, რომლებიც სავალდებულოა გათვალისწინებულ იქნეს კომპანიის მიერ იმ საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ და რომლებიც კომპანიას ადრე არ გამოუყენებია:

აქტივების კონტრიბუცია ან გაყიდვა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან სააქციო საზოგადოებას შორის - ფასს 10 და ბასს 28 ცვლილება (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლის ათვლა იწყება IASB-ის მიერ დადგენილი თარიღით ან შემდგომ). ეს ცვლილებები განმარტავს იმ შეუსაბამობას ფასს 10 და ბასს 28 შორის, რომელიც უკავშირდება აქტივების კონტრიბუციას ან ნასყიდობას ინვესტორს, მის მეკავშირე ან სააქციო საზოგადოებას შორის. ამ ცვლილებების მთავარი შედეგი არის რომ სრული მოგება ან ზარალი აღიარდება, როდესაც ტრანზაქცია ბიზნესს მოიცავს. ნაწილობრივი მოგება ან ზარალი აღიარდება, როდესაც ტრანზაქცია მოიცავს აქტივებს, რომელიც არ ეხება ბიზნესს, მიუხედავად იმისა ფლობს თუ არა აქტივებს შვილობილი საწარმო.

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლის ათვლა იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). ფასს 17 ანაცვლებს ფასს 4–ს, რომელიც უფლებას აძლევს კომპანიებს განახორციელონ აღრიცხვა სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის არსებული პრაქტიკის გამოყენებით. შედეგად, ინვესტორებისთვის რთული იყო მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური ეფექტურობის შედარება. ფასს 17 არის საერთო პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებისთვის, მათ შორის გადაზღვევის ხელშეკრულებების აღრიცხვისთვის, რომლებსაც სადაზღვევო კომპანია ფლობს. აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარებას და შეფასებას: (i) მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით, რისკის გათვალისწინებით (შესრულებული ფულადი ნაკადები), რომელიც შეიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას აღნიშნული ფულადი ნაკადების შესახებ, რომელიც შეესაბამება სარწმუნო საბაზრო ინფორმაციას; პლუს (თუ აღნიშნული ღირებულება არის ვალდებულება) ან მინუს (თუ ეს ღირებულება არის აქტივი) (ii) თანხით, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას კომპანიის ხელშეკრულებების ჯგუფებში (სახელშეკრულებო მომსახურებების მარჟა). სადაზღვევო კომპანიები აღიარებენ მოგებას სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც ისინი უზრუნველყოფენ სადაზღვევო დაფარვას, და თავისუფალნი არიან რისკისგან. თუ ხელშეკრულებების ჯგუფი ასახავს ზარალს ან გახდა ზარალიანი, კომპანია აღიარებს ზარალს დაუყოვნებლივ.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოიცა 2018 წლის 29 მარტს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტებას, ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა, მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და გაურკვეველი საკითხების შეფასების როლს.

საწარმოს განმარტება - ცვლილებები ფასს 3-ში (გამოიცა 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდგომ). ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება. საწარმო უნდა მოიცავდეს რესურსებსა და პროცესებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ შედეგების მიღწევაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია სტრუქტურა იმის შესაფასებლად, არსებობს თუ არა რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაშიც კი, რომლებსაც არ აქვთ დამდგარი შედეგი.

„შედეგის“ განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან წარმოებული საქმიანობის და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის“ გამოყენება. შეძენილი აქტივები არ წარმოადგენენ საწარმოს, თუ ამ აქტივების რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებულია ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში).

საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმა - ფასს 9-ში, ბასს 39-სა და ფასს 7-ში შეტანილი შესწორებები (გამოიცა 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან აღნიშნული თარიღის შემდეგ). შესწორებები გამოწვეული იყო ისეთი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის ჩანაცვლებით, როგორიცაა LIBOR და სხვა შემოთავაზებული ბანკთაშორისი განაკვეთები („IBOR-ები“). ეს შესწორებები ქმნის დროებით რელიეფს ჰეჯირების სპეციფიური აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან ჰეჯირების იმ ურთიერთობებზე, რომლებზეც IBOR-ის რეფორმამ უშუალო გავლენა იქონია. ფულადი ნაკადების ჰეჯირების აღრიცხვა ორივე, ფასს-99 და ასს-39-ის მიხედვით, მოითხოვს, რომ სამომავლო ჰეჯირებული ფულადი ნაკადები იყოს „მაღალი ალბათობით მოსალოდნელი“. მაშინ, როდესაც ეს ფულადი ნაკადები დამოკიდებულია IBOR-ზე, შესწორებები საწარმოსგან მოითხოვს იმის დაშვებას, რომ ის საპროცენტო განაკვეთი, რომელზეც ეს ჰეჯირებული ფულადი ნაკადებია დაფუძნებული, რეფორმის შედეგად არ შეიცვლება. ორივე, ასს 39 და ფასს 9 მოითხოვს საპროგნოზო პერსპექტიულ შეფასებას იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნეს ჰეჯირების აღრიცხვა. მაშინ, როდესაც ამჟამად IBOR-ის და IBOR-ის ჩანაცვლების განაკვეთების მიხედვით ფულადი ნაკადები მოსალოდნელია, რომ იქნება თანაბრად ეკვივალენტური, რასაც მინიმუმამდე დაყავს ნებისმიერი არაეფექტურობა, ამას, შესაძლოა, აღარ ჰქონდეს მნიშვნელობა, რადგან რეფორმის თარიღი ახლოვდება. ამ შესწორებების მიხედვით, საწარმომ შეიძლება დაუშვას, რომ საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილი, რომელზეც ეფუძნება ჰეჯირებული მუხლის, ჰეჯირებული ინსტრუმენტის ან ჰეჯირებული რისკის ფულადი ნაკადები არ შეცვლილა IBOR-ს რეფორმის შედეგად. IBOR-ის რეფორმას აგრეთვე შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ ჰეჯი გასცეს 80 – 125%-იან ფარგლებს, რაც მოთხოვნილია ასს 39-ით, რეტროსპექტიული შემოწმებისთვის. ბასს 39 შესაბამისად შესწორდა, რათა დაეშვა გამონაკლისი რეტროსპექტიული ეფექტურობის შემოწმებაში ისე, რომ ჰეჯი არ წყდება მხოლოდ IBOR-თან დაკავშირებული გაურკვევლობის პერიოდის განმავლობაში, იმიტომ, რომ რეტროსპექტიული ეფექტურობა სცდება ამ ფარგლებს. თუმცა, ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები, მათ შორის პერსპექტიული შეფასება, უნდა დაკმაყოფილდეს. გარკვეული რაოდენობის ჰეჯირებებში, ჰეჯირებული მუხლი ან ჰეჯირებული რისკი წარმოადგენს IBOR რისკის კომპონენტს, რომელიც არ არის ხელშეკრულებაში მითითებული. იმისათვის, რომ გამოყენებული იყოს ჰეჯირების აღრიცხვა, ორივე ფასს 9 და ასს 39 მოითხოვს, რომ აღნიშნული რისკის კომპონენტი იდენტიფიცირებადი და სარწმუნოდ

შეფასებადი იყოს საწყისი ჰეჯირების დანიშნულების და არა მიმდინარე საფუძველზე. მაკრო ჰეჯირების კონტექსტში, მაშინ, როდესაც საწარმო, ხშირად, ჰეჯირების ურთიერთობას აბრუნებს საწყის მდგომარეობაში, შეღავათი გამოიყენება იმ დროიდან, როდესაც ჰეჯირებული მუხლი თავდაპირველად გამიზნული იყო ამ ჰეჯირების ურთიერთობისთვის. ნებისმიერი ჰეჯირების არაეფექტურობის აღრიცხვა მოხდება მოგებასა და ზარალში ორივე ასს 39 და ფასს 9-ის მიხედვით. აღნიშნული შესწორებები სტიმულს აძლევს დასრულდეს ის გაურკვევლობები, რომელიც დაკავშირებულია საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმასთან. შესწორებები საწარმოებისგან მოითხოვს ინვესტორებისათვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას ამ გაურკვევლობების შედეგად პირდაპირი გავლენის ქვეშ მყოფი ჰეჯირების ურთიერთობების შესახებ, მათ შორისაა ჰეჯირების ინსტრუმენტების ნომინალური ოდენობა, რომელზე შეღავათების გამოიყენება, შეღავათების გამოყენებისას გაკეთებული ყველა მნიშვნელოვანი დაშვებები და მსჯელობები, იმის რაოდენობრივი განმარტებები, თუ როგორი გავლენა აქვთ საწარმოზე IBOR რეფორმას და თუ როგორ მართავს რეფორმაზე გადასვლის პროცესს.

მიმდინარე და გრძელვადიანი ვალდებულებები კლასიფიკაცია - ბასს 1 ცვლილება (გამოიცა 2020 წლის 23 იანვარს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ წლიურ პერიოდებზე). ეს ვიწრო მნიშვნელობის ცვლილებები აზუსტებს, რომ ვალდებულებები უნდა კვალიფიცირდებოდეს როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი, რაც დამოკიდებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არის გრძელვადიანი თუ პირს აქვს უფლება, რომ საანგარიშგებო წლის ბოლოს, გადაავადოს გადახდა სულ მცირე 12 თვით. მითითება აღარ მოითხოვს ამ უპირობო ფორმას. ხელმძღვანელობის მოლოდინი გამოიყენებენ თუ არა ანაზღაურების გადავადებას არ მოქმედებს ვალდებულების კლასიფიკაციაზე. გადავადება არსებობს როდესაც პირი ასრულებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოცემულ პირობებს. ვალდებულება არის მიმდინარე თუ პირობა დაირღვევა საანგარიშგებო პერიოდისას ან მანამდე, მიუხედავად იმისა თუ ამგვარი პირობის დარღვევა დადასტურებული იქნება გამსესხებლისგან საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ. შესაბამისად, სესხი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თუ პირობა დაირღვევა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ. ამასთან, ცვლილება გულისხმობს რომ საკლასიფიკაციო მოთხოვნები კომპანიის ვალთან მიმართებით შესაძლოა დაიფაროს კაპიტალში კონვერტაციით. ვალის დაფარვა გულისხმობს როგორც ფულადი ანგარიშსწორებით ვალდებულების მოშლას ასევე სხვა ეკონომიკური სარგებლის ან პირის კაპიტალის ინსტრუმენტების გამოყენებით მის დაფარვას. არსებობს გამონაკლისი კონვერტირებადი ინსტრუმენტების სახით, რის გამოყენებითაც ვალის კაპიტალში გადატანაა შესაძლებელი, თუმცა ეს შესაძლებელია მხოლოდ კომპლექსური ფინანსური ინსტრუმენტის განცალკევებული კომპონენტისთვის. კომპანია ახდენს მიღებული ცვლილებების გავლენის შეფასებას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მიღებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მიღებული შემოსავლები, აქტივის საოპერაციო მდგომარეობაში მოყვანამდე, რთული ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - მცირედი ცვლილებები ბასს 16 და 37, ფასს 3-ის და ფასს 2018-2020 წლიური გამარტივებები - ცვლილებები ფასს 1 ,ფასს 9, ბასს 16 და ბასს 41 (გამოიცა 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვრის ან მის შემდგომ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 16 ცვლილება უკრძალავს პირს გაქვითოს მირითადი საშუალებების ხარჯებიდან, ნებისმიერი შემოსავალი მიღებული ამ პერიოდში წარმოებული აქტივების რეალიზაციიდან, თუ პირი ამზადებს აქტივს გამოყენებისთვის. ამგვარი აქტივის რეალიზაცია, ასევე დამზადების ხარჯი, აღიარდება მოგებასა ან ზარალში. პირი გამოიყენებს ბასს 2-ს აღნიშნული აქტივების თვითღირებულების გამოსაანგარიშებლად. აქტივის თვითღირებულებაში არ ჩაითვლება აქტივის ცვეთა ტესტირების დროს, რადგან აქტივი არაა მზა გამოყენებისთვის. ბასს 16 ცვლილება განმარტავს რომ პირს აქტივის აქვს ტესტირების რეჟიმში, სანამ ადგენს მისი სწორი ფუნქციონირების პრინციპებს, ასევე როდესაც ახდენს მის ტექნიკურ ან ფიზიკურ შემოწმებას. აქტივის ფინანსური შედეგები ამ შეფასებისას არ მოქმედებს. აქტივი შესაძლოა იყოს ხელმძღვანელობის მიერ სავარაუდო გამოყენებაში და ექვემდებარებოდეს ცვეთას, სანამ იგი არ მიაღწევს იმ დონეს, რასაც ხელმძღვანელობის აზრით საოპერაციო მდგომარეობას გულისხმობს.

ბასს 37 ცვლილება განმარტავს „ხელშეკრულების შესასრულებლად საჭირო ხარჯებს“. ცვლილება განმარტავს რომ ხელშეკრულების შესრულების ხარჯი მოიცავს დამატებითი დანახარჯების რაც უშუალოდ უკავშირდება მის შესრულებას. ცვლილება ასევე განმარტავს რომ რთული ხელშეკრულების ცალკეულ დებულების შესრულებამდე, პირმა უნდა აღიაროს დანაკარგი აქტივებზე, რომელიც გამოყენებულ იქნა ხელშეკრულების შესრულებისთვის და არა იმ აქტივებზე, რომელიც გამოყოფილია ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის.

ფასს 3 ცვლილება ეხება 2018 წლის კონცეპტუალურ საფუძვლებს ფინანსური ანგარიშგებისთვის, რათა განისაზღვროს აქტივები და ვალდებულებები ბიზნეს კომბინაციის დროს. ცვლილებამდე, ფასს 3 ეხებოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სტრუქტურულ საფუძვლებს. ამასთან, ახალი გამონაკლისი დაემატა ფასს 3-ს ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის. გამონაკლისის მიხედვით, ზოგი ვალდებულება და პირობითი ვალდებულება , ფასს 3 -ის ნაცვლად უნდა იყენებდეს ბასს 37 ან ფასიკ 21-ს და არა 2018 წლის კონცეპტუალურ საფუძვლებს. ამ გამონაკლისის გარეშე, პირს უნდა ჰქონდეს ვალდებულებები ბიზნეს კომბინაციაში რასაც არ აღიარდება ბასს 37-ის მიხედვით. შესაბამისად, შესყიდვის შემდგომ, პირმა არ უნდა ჩამოწეროს ამგვარი ვალდებულება და აღიაროს მოგება, რომელიც არ წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ მოგებას. ასევე განიმარტა რომ შემძენმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი, რაც ბასს 37-ის მიხედვითაა განსაზღვრული, აქტივის შეძენის თარიღისთვის.

ფასს 9 ცვლილება განმარტავს საფასურს, რაც უნდა შედიოდეს ფინანსური ვალდებულების ჩამოწერის 10 პროცენტიან ტესტში. ხარჯები თუ სხვა სახის საფასური შესაძლოა გადასახდელი იყოს მესამე მხარისთვის ან გამსესხებლისთვის. ცვლილების მიხედვით, ხარჯები თუ სხვა სახის საფასური, რომელიც გადახდილია მესამე პირისთვის, არ იქნება ჩათვლილი აღნიშნულ 10 პროცენტიან ტესტში.

საილუსტრაციო მაგალითი N13, რომელიც მოცემულია ფასს 16-ში შეიცვალა, ამოღებულია მოიჯარის მიერ ლიზინგით აღებული აქტივის გაუმჯობესებისთვის გაწეული ხარჯები. ამ ცვლილების მიზანია პოტენციური დაბნევის თავიდან აცილება დაკავშირებული იჯარებთან.

ფასს 1 უშვებს გამონაკლისს თუ შვილობილი დანერგავს ფასს-ს უფრო გვიან, ვიდრე მშობელი საწარმო. შვილობილს შეუძლია შეაფასოს ის აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე ღირებულებით, რაც მშობელი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის, გარდა იმ შემთხვევისა თუ რაიმე ტიპის შესწორება არ განხორციელდა კონსოლიდაციის და ბიზნეს კომბინაციის მიზნებისთვის, შვილობილი საწარმოს შეძენის თარიღისთვის. ფასს 1 ცვლილება უფლებას აძლევს პირებს, რომლებმაც გამოიყენეს ფასს 1 გამონაკლისი, შეაფასონ სტანდარდზე გადასვლის კუმულაციური ეფექტი მშობლის მიერ აღრიცხულ იმ თანხებზე დაყრდნობით, რომელიც მშობელმა საწარმომ ასახა ანგარიშგებაში ფასს-ზე გადასვლის მომენტში. ამგვარი ცვლილება უკავშირდება ზემოაღნიშნულ მაგალითს კუმულაციურ სხვაობაზე, რათა შემცირდეს სხვაობა იმ შემთხვევაში, როდესაც პირველად ხდება მიღება. ცვლილება ასევე ვრცელდება ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებზე, რომლებმაც გამოიყენეს ფასს 1 გამონაკლისი.

მოთხოვნა საწარმოებისთვის გამორიცხონ ფულადი ნაკადები დაბეგვრის მიზნებისთვის, ბასს 41-ის მიხედვით სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ამოღებულია. ცვლილების მიზანია ფულად ნაკადებზე დისკონტირება განხორციელდეს მხოლოდ მათი დაბეგვრის შემდეგ.

COVID 19-თან დაკავშირებული იჯარის კონცესია - ფასს 16 ცვლილება (გამოიცა 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია 2020 წლის 1 ივნისიდან ან მის შემდგომ არსებულ წლიურ პერიოდებზე). ცვლილება განკუთვნილია მოიჯარეებისთვის (და არა მეიჯარეებისთვის), იმ პრინციპით, რომ მოიჯარეს აძლევს არჩევითობით უფლებას შეაფასოს COVID 19-ის გამო იჯარის დათმობა წარმოადგენს თუ არა მის მოდიფიკაციას. ცვლილება შესაძლებლობას აძლევს მოიჯაროს აღრიცხოს იჯარა მოდიფიკაციის გარეშე. ბევრ შემთხვევაში, აღნიშნული აღრიცხვაში აისახება, როგორც იჯარის ცვლადი გადახდები. პრაქტიკაში ეს შეეხო მხოლოდ იმ იჯარებს, რომლის დათმობაც მოხდა COVID-19 პანდემიის შედეგად და თუ დააკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: იჯარის გადახდების ცვლილება არის უმნიშვნელო, ან ნაკლები დადგენილ გადასახადთან მიმართებაში და მისი გათვალისწინება მოხდა დაუყონებლივ; იჯარის გადახდების ნებისმიერი სახით შემცირება მოქმედებს მხოლოდ 2021 წლის 30 ივნისისთვის ან მანამდე გადასახდელ თანხაზე; იჯარის სხვა წესებსა და პირობებზე სხვა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ ვრცელდება. თუ მოიჯარე აირჩევს ფაქტიური ხარჯის მიხედვით იჯარის აღრიცხვას, აღნიშნული ცვლილება უნდა გატარდეს ყველა ანალოგიურ საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომელსაც აქვს მსგავსი

პირობები. ცვლილები უნდა აისახოს ბასს 8-ის შესაბამისად, მაგრამ მოიჯარეებს არ მოეთხოვებათ წინა პერიოდის რიცხვების ანგარიშგებაში კორექტირება ან დამატებითი შენიშვნის მომზადება ბასს 8-ის 28(ფ) პარაგრაფის გათვალისწინებით.

7. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ზოგადად განიხილებიან დაკავშირებულად, თუ ისინი წარმოდგენილია საერთო კონტროლის ქვეშ, ან თუ ერთ–ერთ მხარეს შეუძლია აკონტროლოს მეორე მხარე, ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან გამოიყენოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და საქმიანი გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებულ მხარესთან თითოეული შესაძლო ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას, არამედ ურთიერთობის არსს.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები მოცემულია ქვემოთ:

თანხები გამოხატულია ათას დოლარში	ურთიერთკავშირი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	იურიდიული პირები საერთო კონტროლის ქვეშ	1	7
სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებები	იურიდიული პირები საერთო კონტროლის ქვეშ	260	106
წინასწარ გადახდილი თანხები	იურიდიული პირები საერთო კონტროლის ქვეშ	44	47
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	იურიდიული პირები საერთო კონტროლის ქვეშ	31,106	19,783

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წლებში დაკავშირებული მხარეების შემოსავლების და ხარჯების პუნქტები იყო შემდეგი:

თანხები გამოხატულია ათას დოლარში	ურთიერთკავშირი	2019	2018
შემოსავლები	იურიდიული პირები საერთო კონტროლის ქვეშ	134	104

რეალიზაციის ხარჯები (გარდა შესყიდული საწვავისა)	იურიდიული პირები საერთო კონტროლის ქვეშ	(4,718)	(2,591)
სადისტრიბუციო ხარჯები	იურიდიული პირები საერთო კონტროლის ქვეშ	(101)	(100)
ძირითადი და ადმინისტრაციული ხარჯები	იურიდიული პირები საერთო კონტროლის ქვეშ	(447)	(499)
ფინანსური ხარჯები	იურიდიული პირები საერთო კონტროლის ქვეშ	(900)	-

კომპანიამ 2019 წელს შეისყიდა 176,257 ათასი აშშ დოლარის ღირებულების მარაგი (სასაქონლო-მატერიალური მარაგები გასაყიდად) საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი იურიდიული პირებისგან (2018 წელი: 180,726 ათასი აშშ დოლარი).

ძირითადი მმართველი პირების კომპენსაცია. ძირითადი მმართველი პირები მოიცავს გენერალურ დირექტორს, გენერალური დირექტორის მოადგილეს, ფინანსურ დირექტორსა და საცალო ოპერაციების დირექტორს.

მთავარი ხელმძღვანელობის კომპენსაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

თანხები გამოხატულია ათას დოლარში	**2019**		**2018**	
	ხარჯები	**დარიცხული ვალდებულება**	**ხარჯები**	**დარიცხული ვალდებულება**
მოკლევადიანი სარგებელი				
• ხელფასი	355	-	358	-
• მოკლევადიანი პრემია	81	-	-	-
• სარგებელი	149	-	73	-
სულ	**585**	-	**431**	-

მოკლევადიანი პრემია ეკუთვნის 12 თვიან პერიოდს მას შემდგომ, როდესაც ხელმძღვანელობამ გაწია მომსახურება.

8. ქონება და აღჭურვილობა

ძირითადი საშუალებების დინამიკა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

თანხები გამოხატულია ათას დოლარში	მიწა	შენობები და სხვა კონსტრუქციები	მანქანა -დანადგარები	საოჯახო გაუმჯობესებანი	საოფისე აღჭურვილობა	ტრანსპორტი	დაუმთავრებელი წარმოება და სხვა დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა	სულ
ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,852	4,144	4,121	2,088	1,116	118	3,098	16,537
დაგროვილი ცვეთა	-	(568)	(2,151)	(1,214)	(511)	(50)	-	(4,494)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	**1,852**	**3,576**	**1,970**	**874**	**605**	**68**	**3098**	**12,043**
შეძენა	-	1,555	2,080	144	188	-	563	4,530
გადაადგილება	-	1,611	862	-	17	-	(2,490)	-
ჩამოწერა (ღირებულება)	-	(4)	(19)	-	(1)	-	(70)	(94)
ჩამოწერა (დაგროვილი ცვეთა)	-	-	6	-	1	-	-	7
ცვეთის ანარიცხები	-	(396)	(523)	(319)	(252)	(14)	-	(1,504)
ხარჯი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	1,852	7,306	7,044	2,232	1,320	118	1,101	20,973
დაგროვილი ცვეთა	-	(964)	(2,668)	(1,533)	(762)	(64)	-	(5,991)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	**1,852**	**6,342**	**4,376**	**699**	**558**	**54**	**1,101**	**14,982**
შეძენა	-	-	213	159	74	24	2,289	2,759
გადაადგილება	-	552	-	-	-	-	(552)	-
ჩამოწერა (ღირებულება)	-	-	-	-	-	(27)	(72)	(99)
ჩამოწერა (დაგროვილი ცვეთა)	-	-	-	-	-	3	-	3
ცვეთის ანარიცხები	-	(594)	(536)	(298)	(235)	(9)	-	(1,672)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	**1,852**	**6,300**	**4,053**	**560**	**397**	**45**	**2,766**	**15,973**

ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	1,852	7,858	7,257	2,391	1,394	115	2,766	23,633
დაგროვილი ცვეთა	-	(1,558)	(3,204)	(1,831)	(997)	(70)	-	7,660
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	**1,852**	**6,300**	**4,053**	**560**	**397**	**45**	**2,766**	**15,973**

2019 წლის 31 დეკემბრისთვის, ძირითადი საშუალებების საფასურში ჩათვლილია სრულად გაცვეთილი აქტივები საბალანსო ღირებულებით 3,264 ათასი $ (2018 წლის 31 დეკემბერი: 1,770 ათასი $).

9. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანია იჯარით იღებს ავტო გასამართ სადგურებს, საოფისე ფართებსა და საწყობს. ქირავნობის ხელშეკრულებები იდება 1-10 წლის ვადით, ხანდახან გახანგრძლივების ვარიანტითაც.

2018 წლის 31 დეკემბრამდე, ქონების, საწარმოს და აღჭურვილობის იჯარა კლასიფიცირებული იყო, როგორც საოპერაციო იჯარა. 2019 წლის 1 იანვრიდან, იჯარა კლასიფიცირდა როგორც აქტივის გამოყენების უფლება და შესაბამისი ვალდებულება იმ მომენტიდან, როდესაც აქტივი ხელმისაწვდომია კომპანიისთვის გამოსაყენებლად.

თანხა გამოხატულია ათასობით დოლარში	**ავტო გასამართი სადგურები**	**საოფისე ფართები და სხვა შენობები**	**სულ**
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრისთვის	**17,016**	**874**	**17,890**
შეძენა	1,445	-	1,445
ჩამოწერა	-	-	-
ცვეთის ხარჯი	(3,882)	(214)	(4,096)
სხვა	-	-	-
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**14,579**	**660**	**15,239**

კომპანიის საიჯარო ვალდებულებები შემდეგნაირია:

თანხა გამოხატულია ათასობით დოლარში	**2019 წლის 31 დეკემბერი**	**2019 წლის 1 იანვარი**
მოკლევადიანი ვალდებულებები	4,421	3,640
გრძელვადიანი ვალდებულებები	12,920	16,324
სულ საიჯარო ვალდებულებები	**17,341**	**19,964**

ზოგი იჯარა მოიცავს ცვლად გადახდის პირობებს, რაც დამოკიდებულია ავტო გასამართი სადგურების თვიურ საწვავის რეალიზაციაზე. ცვლადი პირობები გამოიყენება სხვადასხვა მიზნით, მათ შორის ფიქსირებული ხარჯების შემცირებისთვის. ცვლადი იჯარის გადახდები, აღიარდება მოგების ან ზარალის მხრივ იმ პერიოდში, რომლსაც უკავშირდება გადახდა. 10% ზრდა გაყიდვებში იმ ჯგუფის ქონებაში, რომელის საიჯარო გადასახადები ცვალებადია, სულ საიჯარო გადასახად გაზრდის დაახლოებით 72 ათასი დოლარით.

ხარჯები, რომელიც უკავშირდება მოკლევადიან იჯარებს (შეტანილია სადისტრიბუციო ხარჯებში).

თანხა გამოხატულია ათასობით დოლარში	2019
მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები	128

ცხრილი აჩვენებს კომპანიის საიჯარო ვალდებულებების დინამიკას

თანხა გამოხატულია ათასობით დოლარში	შენიშვნა	საიჯარო ვალდებულებები
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის		-
ახალი სტანდარტების მიღება	5	19,964
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრისთვის		19,964
ფულადი ნაკადები, გარდა გადახდილი პროცენტისა		(4,143)
დარიცხული პროცენტი	19	1441
გადახდილი პროცენტი		(1,366)
შეძენა - იჯარა		1,445
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის		**17,341**

10. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

თანხა გამოხატულია ათასობით დოლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
საქონელი გასაყიდად	16,172	11,186
საქონელი ტრანზიტში	3,204	2,654
სხვა მარაგები	230	195
სულ მარაგები	**19,606**	**14,035**

რეალიზებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულებამ შეადგინა 184,507 ათასი დოლარი (2018 წ: 189,016 ათასი დოლარი).

11 . სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

თანხა გამოხატულია ათასობით დოლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	5,410	5,692
სულ ფინანსური დებიტორული დავალიანებები	243	288
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(323)	(366)
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების ფარგლებში.	5,330	5,814
წინასწარი გადახდები	793	2,025
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	**6,123**	**7,639**

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების უმეტესობა 2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის არსებულ საბალანსო ღირებულებაში გამოხატულია ეროვნულ ლარში.

კომპანია იყენებს ფასს 9 გამარტივებულ მიდგომას, რათა გაზომოს სავარაუდო საკრედიტო ზარალი, რაც გულისხმობს ზარალის რეზერვს სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებისთვის.

საკრედიტო ზარალი, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავმოყრილია საერთო საკრედიტო რისკების მაჩვენებლების ჯგუფში.

სავარაუდო ზარალის განაკვეთი ეფუძნება რეალიზაციასთან დაკავშირებულ გადახდის პრაქტიკას 12 თვიან პერიოდში 2019 წლის 31 დეკემბრამდე ან 2018 წლის 31 დეკემბრამდე, და შეესაბამება ამ პერიოდში არსებულ ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული ზარალის განაკვეთის ცვალებადობა დამოკიდებულია მიმდინარე და სამომავლო მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რაც გავლენას ახდენს მომხმარებლების უნარზე დაფარონ დებიტორული დავალიანება. კომპანია თვლის რომ მშპ და საქართველოს ინფლაციის განაკვეთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია და შესაბამისად, ისტორიული ზარალის განაკვეთს აკორექტირებს ამ ფაქტორების მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით.

საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისთვის 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განისაზღვრა ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილი მატრიცით. მატრიცა ეფუძნება საკრედიტო რისკის მახასიათებლებს აქტივზე, შეცვლილ მშპ-სა და საქართველოს ინფლაციის განაკვეთს.

მთლიანი ღირებულების %	ზარალის განაკვეთი	მთლიანი მიმდინარე ღირებულება	სასიცოცხლო ვადა ECL	მიმდინარე ღირებულება
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები				
დებიტორული დავალიანებები უზრუნველყოფით	0,00%	253	-	253
დებიტორული დავალიანებები სატენდერო კლიენტებისგან	0,27%	4,138	(11)	4,127
დაზღვეული დებიტორული დავალიანებები	0,00%	11	-	11
ინდივიდუალურად შეფასებული	-	1,008	(201)	807
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის		**5,410**	**(212)**	**5,198**
სხვა დებიტორული დავალიანებები				
ინდივიდუალურად შეფასებული	-	243	(111)	132
სხვა დებიტორული დავალიანებები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის		**243**	**(111)**	**132**

სულ საკრედიტო ანარიცხი ან ზარალი პერიოდზე იყო 31 ათასი დოლარი.

სავაჭრო საკრედიტო ანარიცხი და სხვა დებიტორული დავალიანებები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია

მთლიანი ღირებულების %	ზარალის განაკვეთი	მთლიანი მიმდინარე ღირებულება	სასიცოცხლო ვადა ECL	მიმდინარე ღირებულება
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები				
დებიტორული დავალიანებები უზრუნველყოფით	0,01%	148	-	148
დებიტორული დავალიანებები სატენდერო კლიენტებისგან	0,30%	4034	(12)	4,022
დაზღვეული დებიტორული დავალიანებები	10.0%	211	(21)	190
ინდივიდუალურად შეფასებული	-	1,299	(197)	1,102

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის		**5,692**	**(230)**	**5,462**
სხვა დებიტორული დავალიანებები				
ინდივიდუალურად შეფასებული	-	288	(136)	152
სხვა დებიტორული დავალიანებები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის		**288**	**(136)**	**152**

სულ 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მოგებაში ან ზარალში ასახული მთლიანი გაუფასურების რეზერვი შეადგენდა 120 ათას დოლარს.

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

თანხა გამოხატულია ათასობით დოლარში	**2019 წლის 31 დეკემბერი**	**2018 წლის 31 დეკემბერი**
ნაღდი ფული	213	190
ნაშთი საბანკო ანგარიშებზე, გადასახდელი მოთხოვნისას	715	656
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**928**	**846**

სულ ფული და ფულის ეკვივალენტის საკრედიტო ხარისხი, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა მიჩნეულია „დამაკმაყოფილებლად“ საკრედიტო რისკის ხარისხის გათვალისწინებით 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის. იხილეთ შენიშვნა 21 კომპანიის საკრედიტო რისკის შეფასების სისტემის აღწერისთვის.

13. საწესდებო კაპიტალი

2013 წლის 14 თებერვლით დათარიღებული კომპანიის წესდების მიხედვით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 5 765 ათასი დოლარი. მოცემული ოდენობა შეტანილია ფულის სახით.

წლის განმავლობაში არ გაცხადებულა და არ გაცემულა დივიდენდები (2018 წელი: ნული).

14. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

თანხა გამოხატულია ათასობით დოლარში	**2019 წლის 31 დეკემბერი**	**2018 წლის 31 დეკემბერი**
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	30,886	20,714
დარიცხული ვალდებულებები და სხვა კრედიტორები	1,404	560
ხელმძღვანელობის დავალიანება	17	9

სულ ფინანსური კრედიტორული დავალიანება სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების ფარგლებში	*32,307*	*21,283*
მიღებული ავანსი	865	646
დარიცხული თანამშრომლების სარგებელი	-	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	**33,172**	**21,929**

2018 და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების დომინირებს დავალიანება აშშ დოლარში.

15. შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია იღებს შემოსავალს საქონლის გასხვისებისას შემდეგი ძირითადი შემოსავლის წყაროებიდან:

თანხა გამოხატულია ათასობით დოლარში	**2019**	**2018**
შემოსავალი საწვავის საცალო რეალიზაციიდან	156,743	154,726
შემოსავალი საწვავის საბითუმო რეალიზაციიდან	43,441	46,241
შემოსავალი მაღაზიის რეალიზაციიდან	87	51
სულ შემოსავლები მომხმარებლებთან არსებული ხელშეკრულებებიდან	**200,271**	**201,018**

16. რეალიზაციის ხარჯი

თანხა გამოხატულია ათასობით დოლარში	**2019**	**2018**
საწვავის ხარჯი	184,447	188,973
გაყიდული საქონლის ხარჯი	60	43
სულ რეალიზაციის ხარჯი	**184,507**	**189,016**

17. სადისტრიბუციო ხარჯები

თანხა გამოხატულია ათასობით დოლარში	**2019**	**2018**
ცვეთის ხარჯი	5,451	1,412
ხელფასი და დაკავშირებული ხარჯები	1,971	1,780
იჯარის ხარჯები	837	6,121
რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	488	373
კომუნალური ხარჯები	313	335
პროფესიული ხარჯები	292	334
სატელეკომუნიკაციო ხარჯები	174	196

ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	114	94
სხვა	433	609
სულ სადისტრიბუციო ხარჯები	**10,073**	**11,254**

18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

თანხა გამოხატულია ათასობით დოლარში	**2019**	**2018**
ხელფასი და დაკავშირებული ხარჯები	1,843	1,535
საბანკო ხარჯები	692	717
პროფესიული ხარჯები	471	442
მმართველობითი მომსახურების საფასური	447	499
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	317	92
მივლინების ხარჯები	117	155
რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	18	88
საიჯარო ხარჯი	3	249
სხვა	234	207
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**4,142**	**3,964**

პროფესიული ხარჯები მოიცავს 128 ათას დოლარს (2018 წ: 35 ათასი დოლარი) - აუდიტის და სხვა პროფესიული მომსახურებისთვის ხარჯს, გადახდილს აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის, საქართველოს კანონის „აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად.

19. ფინანსური ხარჯები

თანხა გამოხატულია ათასობით დოლარში	**2019**	**2018**
საპროცენტო ხარჯები	1,441	-
პირგასამტეხლოები დაგვიანებულ გადახდებზე	900	-
სულ ფინანსური ხარჯები	**2,341**	-

20. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები

სასამართლო პროცედურები. საქმიანობის ჩვეულებრივად წარმართვისას, კომპანიამ შესაძლოა მიიღოს საჩივარი. საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა ფიქრობს რომ სარჩელები არ განაპირობებს კომპანიისთვის მატერიალურ ზარალს.

საგადასახადო კანონმდებლობა. საგადასახადო სისტემა საქართველოში შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობაში, ოფიციალური განცხადებებსა და სასამართლოს გადაწყვეტილებებში

ხშირად გახორციელებული ცვლილებებით, რომლებიც ხშირად გაუგებარი და ურთიერთგამომრიცხავია და ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მხრიდან სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას. გადასახადები ექვემდებარება იმ რიგი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გადახედვას და გამოკვლევას, რომლებიც უფლებამოსილნი არიან დააწესონ მკაცრი სანქციები, ჯარიმები და გადასახდელი პროცენტები.

საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო შემოწმებისთვის 3 კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში, საგადასახადო წელი შესაძლებელია ღიად დარჩეს უფრო დიდი ხნის განმავლობაშიც. აღნიშნულმა გარემოებებმა შესაძლოა შექმნან უფრო მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკები საქართველოში, სხვა ქვეყნის საგადასახადო რისკებთან შედარებით.

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები ფასდება ხელმძღვანელობის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგების გადასახადის ვალდებულებები აღირიცხება ხელმძღვანელობის მიერ, თუ დიდი ალბათობით მოსალოდნელია რომ საგადასახადო ორგანოს შემოწმების დროს წარმოიშობა აღნიშნული გადასახადი. შეფასება დამოკიდებულია საგადასახადო კანონმდებლის ინტერპრეტაციაზე, რაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შევიდა ძალაში ან მის შემდგომ. ვალდებულებები პირგასამტეხლოებზე, საპროცენტო განაკვეთსა და სხვა გადასახადებზე, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება ხელმძღვანელობის შეფასებით, რაც გულისხმობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იმ ხარჯების განსაზღვრას, რაც საჭიროა ვალდებულებების დასაფარავად.

ხელმძღვანელობას სწამს, რომ ადეკვატურად შეაფასა საგადასახადო ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციით, ასევე ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების გათვალისწინებით. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციით შესაძლოა ადგილი ჰქონდეს განსხვავებულ შეფასებებს, რაც შემდგომ იქონიებს გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ ამგვარი ინტერპრეტაციები საგადასახადო ორგანოების მიერ წარმატებით აღესრულება და იქნება მნიშვნელოვანი.

სატრანსფერო ფასწარმოქმნის წესები. საქართველოს კანონმდებლობა საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების შესახებ ტექნიკურად ჩამოყალიბებულია და შესაბამისობაშია საერთაშორისო სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრინციპებთან, მაგრამ ასევე მას აქვს თავისი დამახასიათებელი ნიშნები. აღნიშნული კანონმდებლობა საშუალებას იძლება გაკეთდეს დამატებითი საგადასახადო შეფასება კონტროლირებულ ოპერაციებზე (ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარესთან და რამდენიმე ტიპის ტრანზაქცია არა-დაკავშირებულ მხარეებთან), თუ ტრანზაქციის ფასი არ არის საბაზრო. ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ მან დაადგინა შიდა კონტროლი მექანიზმები, რათა მისი ტრანზაქციები შესაბამისი იყოს კანონმდებლობასთან.

საგადასახადო ვალდებულებები კონტროლირებული ოპერაციებიდან განისაზღვრება რეალური სატრანზაქციო ფასით. შესაძლებელია, რომ არსებული ინტერპრეტაციები სატრანსფერო ფასთან მიმართებაში შემოწმებულ იქნეს და მოხდეს შესაბამისი შესწორება. ამგვარი შესწორების წინასწარი სწორად შეფასება შეუძლებელია, თუმცა შესწორება შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი ფინანსური პოზიციებისთვის და/ან კომპანიის ზოგადი საქმიანობისთვის.

2019 წლის იანვარს, საქართველოს საგადასახადო ორგანომ (საქართველოს შემოსავლების სამსახურმა) დაიწყო საგადასახადო და სატრანსფერო ფასწარმოქმნის აუდიტი, რომელიც ეხება 2016 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. აუდიტორებმა გამოავლინა დამატებით გადასახდელი 4,623 ათასი ლარი (1612 ათასი დოლარი) მოგების გადასახადი, რაც მოიცავს ჯარიმებს და პირგასამტეხლოებს, იგი შემდგომ გაასაჩივრა კომპანიამ. იურიდიული კონსულტანტი მიუთითებს რომ საქმის მოგების ალბათობა დიდია, თუმცა საქართველოსი სატრანსფერო ფასწარმოქმნასთან არსებული პრაქტიკის ნაკლებობის გამო შედეგი ბუნდოვანია ფინანსურ ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის.

საოპერაციო იჯარა. თუ კომპანია მოიჯარეა, სამომავლოდ იჯარის მინიმალური გადასახდელები იმ საოპერაციო იჯარის ფარგლებში, რომელიც არ ექვემდებარება შეწყვეტას, შემდეგია

ათასობით დოლარში	**2018**
არაუმეტეს 1 წლისა	5,773
არა უმცირეს 1 წლისა და არაუმეტეს 5 წლისა	17,849
5 წელზე მეტხანს	8,734
სულ საოპერაციო იჯარა 31 დეკემბრისთვის	**32,356**

21. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ, ოპერაციულ და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და ფასთან დაკავშირებული სხვა რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი მიზანია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკისადმი მგრძნობელობის შენარჩუნება აღნიშნულ ლიმიტებში. ოპერაციული და იურიდიული რისკების მართვა ხდება შიდა პოლიტიკითა და პროცედურებით, რომელიც მიმართულია ოპერაციული და იურიდიული რისკების შემცირების მიზნით.

საკრედიტო რისკი. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ერთი მხარე მიაყენებს ფინანსურ ზარალს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად. საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარებულობა თავს

იჩენს კომპანიის მიერ საქონლის კრედიტით მიწოდებისას და მეორე მხარეებთან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სხვა სახის გარიგებებისას.

შეზღუდვები. კომპანია ახორციელებს საკრედიტო რისკის დონეების მართვას კრედიტებზე ლიმიტების დაწესებით რისკის იმ მოცულობასთან მიმართებაში, რომელიც უკავშირდება მეორე მხარეებს ან მეორე მხარეთა ჯგუფებს. ამგვარი საკრედიტო ლიმიტები ექვემდებარება ხელმძღვანელობის მიერ პერიოდულად დამტკიცებას. რისკების მონიტორინგი ხორციელდება პერიოდულად და ექვემდებარება ყოველწლიურ ან უფრო ხშირ შემოწმებას.

საკრედიტო რისკის კლასიფიკაციის სისტემა. საკრედიტო რისკის გაზომვისა და ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის ოდენობით კლასიფიკაციის მიზნით, კომპანია იყენებს რისკის შეფასების საფეხურებს, რომლებიც დამტკიცებულია გარე საერთაშორისო შეფასების სააგენტოების მიერ (Standard & Poor's - "S&P", Fitch, Moody's). გარე საკრედიტო რეიტინგები გამოყენებულია შიდა სპეციალურად განსაზღვრულ შკალაზე, რომელიც ასახავს ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობის დიაპაზონს, როგორც ეს ქვემოთ ცხრილში არის მოცემული:

საკრედიტო რისკის კლასიფიკაციის სპეციალური შკალა	შეფასების საერთაშორისო სააგენტოების შესაბამისი რეიტინგები (S&P)	შესაბამისი PD ინტერვალი
შესანიშნავი	AAA - დან BB+ - მდე	0.01%-0.5%
კარგი	BB - დან B+ - მდე	0.51%-1%
დამაკმაყოფილებელი	B, B-	1%-10%
სპეციალური მონიტორინგი	CCC+ - დან CC- -მდე	10%-99.9%
ვალდებულების შეუსრულებლობა	C, D-I, D-II	100%

საკრედიტო რისკის კლასიფიკაციის თითოეულ შკალას მინიჭებული აქვს საკრედიტო უნარიანობის კონკრეტული ხარისხი:

- შესანიშნავი - ძლიერი საკრედიტო ხარისხი, მოსალოდნელი დაბალი საკრედიტო რისკით;
- კარგი - ადეკვატური საკრედიტო ხარისხით, საშუალო საკრედიტო რისკით;
- დამაკმაყოფილებელი - ზომიერი საკრედიტო ხარისხი, დამაკმაყოფილებელი საკრედიტო რისკით;
- სპეციალური მონიტორინგი - ობიექტები რომლებიც საჭიროებენ მჭიდრო მონიტორინგსა და გასაუმჯობესებლად მენეჯმენტს; და
- ვალდებულების შეუსრულებლობა - ობიექტები, სადაც არ შესრულებულა ვალდებულება.

კონტრაქტორი მხარეების გარე რეიტინგები დადგენილია დამოუკიდებელი საერთაშორისო საშემფასებლო სააგენტოების მიერ, როგორიცაა S&P, Moody's და Fitch. ეს შეფასებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.

ამგვარი რეიტინგები და შესაბამისი ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობების შესაბამისი დიაპაზონი ("PD") გამოყენებულია ნაშთისთვის საბანკო ანგარიშებზე, გადასახდელი მოთხოვნისას (შენიშვნა 11).

სავარაუდო საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვა - ECL - არის მომავალი ფულადი დეფიციტის მიმდინარე ღირებულების სავარაუდო შეწონილი შეფასება (ე.ი. საკრედიტო ზარალის შეწონილი საშუალო მაჩვენებელი, ვალდებულების შეუსრულებლობის შესაბამისი რისკებით, რომელიც მოხდება მოცემულ დროში შეწონილი შეფასების მიხედვით). ECL გაზომვა მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით. ECL გაზომვა დაფუძნებულია კომპანიის მიერ გამოყენებულ ოთხ კომპონენტზე: ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობა ("PD"), ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი ("EAD"), ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზარალი ("LGD") და დისკონტირების მაჩვენებელი.

EAD აფასებს რისკს მომავალი ვალდებულების შეუსრულებლობის თარიღზე, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ რისკის სავარაუდო ცვლილებების გათვალისწინებით, ძირითადი თანხისა და პროცენტის დაფარვის ჩათვლით, და დაწესებულებაზე სავარაუდო მომავალი გადასახდელების გათვალისწინებით. PD აფასებს ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობას სავარაუდო პერიოდში. LGD წარმოადგენს ვალდებულების შეუსრულებლობიდან სტანდარტულად წარმოქმნილი ზარალის შეფასებას. იგი დაფუძნებულია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების და გამსესხებლის მოლოდინით მისაღებ თანხებს შორის სხვაობაზე, მოიცავს ნებისმიერ გარანტიას. ეს ჩვეულებრივ გამოიხატება EAD - ის პროცენტული მაჩვენებლის სახით. მოსალოდნელი ზარალი დისკონტირება მიმდინარე ღირებულებამდე საანგარიშო პერიოდის ბოლოს. დისკონტირების განაკვეთი წარმოადგენს ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს ("EIR") ფინანსური ინსტრუმენტებისთვის ან მისი მიახლოებით მნიშვნელობას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სახეები განსაზღვრულია ინსტრუმენტის საექსპლუატაციო პერიოდის განმავლობაში. ექსპლუატაციის პერიოდი უდრის დარჩენილ სახელშეკრულებო პერიოდს დავალიანების ინსტრუმენტების შესრულების ვადამდე, კორექტირებული მოსალოდნელი წინასწარი გადასახადების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მართვის მოდელების ექსპლუატაციის პერიოდი ECL, ანუ ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო ვალდებულების შეუსრულებლობის მოვლენიდან, ფინანსური ინსტრუმენტის ექსპლუატაციის პერიოდის განმავლობაში. 12 თვიანი ECL, წარმოადგენს მთლიანი ექსპლუატაციის პერიოდის ECL ნაწილს, რომელიც გამოწვეულია ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულების შეუსრულებლობის მოვლენებით, რასაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს საანგარიშგებო პერიოდის გასვლიდან 12 თვის განმავლობაში, ან ფინანსური ინსტრუმენტის ექსპლუატაციის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში, თუ ის ნაკლებია ერთ წელზე.

ECL, რომლებიც მენეჯმენტის მიერ შეფასებულია ამ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, წარმოადგენს დროის მომენტში შეფასებას, ვიდრე ციკლურს, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება მარეგულირებელი მიზნებისათვის.

შეფასებები ითვალისწინებს ინფორმაციის მოლოდინს, ანუ ECL ასახავს ძირითადი მაკროეკონომიკური ფაქტორების ცვლილების ალბათობის შესაძლო შეწონილ განვითარებას, რაც გავლენას ახდენს საკრედიტო რისკზე.

PD– ს გაზომვის მიზნით, კომპანია განსაზღვრავს ვალდებულების შეუსრულებლობას, როგორც სიტუაციას, როდესაც რისკი აკმაყოფილებს შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთს ან მეტს (მაგ., მომხმარებელი აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილი გადახდის უუნარობის კრიტერიუმებს):

- მომხმარებელი გარდაცვლილია;
- მომხმარებელი გადახდისუუნაროა;
- მომხმარებელი არღვევს ფინანსურ შეთანხმება(ებ)ს;
- და სავარაუდოა, რომ მომხმარებელი გაკოტრდება.

შეფასება, არის თუ არა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში ("SICR"), თავდაპირველი აღიარების შესრულებიდან ხორციელდება ინდივიდუალურ საფუძველზე. დებიტორებისთვის, SICR ფასდება ინდივიდუალური საფუძველზე, ქვემოთ მოცემულ ფაქტორებზე დაყრდნობით. SICR–ის იდენტიფიკაციისთვის გამოყენებული კრიტერიუმების პერიოდული მონიტორინგი და გადახედვა ხდება კომპანიის მენეჯმენტის მხრიდან. ვარაუდი, რომ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა მოხდა საწყისი აღიარების შემდეგ ემყარება ფაქტორს, როდესაც ფინანსური აქტივები 30 დღიან ვადა გადაცილებაშია.

კომპანია მიიჩნევს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტი შემოწმებულია SICR-ის შესაბამისად, როდესაც მოხდა შემდეგი რაოდენობრივი, თვისობრივი ან ფასის სტრუქტურის კრიტერიუმების შესრულება:

- 30 დღის ვადა გადაცილება;
- საკრედიტო ზემოქმედების რესტრუქტურიზაციის ღონისძიება;
- და კომპანიისთვის ხელმისაწვდომი სხვა თვისობრივი გამომწვევები.

ECL- ის დონე, რომელიც აღიარებულია ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, დამოკიდებულია იმაზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა მომხმარებლის საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ. ეს არის ECL– ის გაზომვის სამფაზიანი მოდელი. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებისგან დაზღვეული თავდაპირველი აღიარების დროს და მისი საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა, მასი საკრედიტო რისკის რეზერვი ფასდება 12 თვიან ECL– ებზე (ეტაპი 1) დაფუძნებული საკრედიტო ზარალით. თუ SICR საწყისი აღიარების დღიდან იდენტიფიცირდება, ფინანსური ინსტრუმენტი გადადის ეტაპ 2-ზე, მაგრამ ჯერჯერობით ის არ განიხილება გაუფასურებულ

კრედიტად და ზარალის რეზერვის აღიარება ემყარება ECL ხანგრძლივობას. თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულ კრედიტად არის მიჩნეული, ფინანსური ინსტრუმენტი გადადის ეტაპ 3-ზე და ზარალის რეზერვის აღიარება ემყარება ECL ხანგრძლივობაზე. მე –3 ეტაპზე აქტივის არსებობის შედეგია ის, რომ სუბიექტი წყვეტს საპროცენტო შემოსავლის აღიარებას მთლიანი სააღრიცხვო ღირებულების საფუძველზე და მიმართავს აქტივის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს საანგარიშო ღირებულებაზე, ECL-ის გათვალისწინებით, როდესაც მოახდენს საპროცენტო შემოსავლის გაანგარიშებისას.

თუ არსებობს მტკიცებულება, რომ აღარ ხდება SICR კრიტერიუმების დაკმაყოფილება, ინსტრუმენტი ბრუნდება ეტაპ 1-ზე. თუ ხარისხობრივი ინდიკატორის საფუძველზე რისკი გადავიდა ეტაპ 2-ზე, კომპანია მონიტორინგს აკეთეს იმის თაობაზე, აღნიშნული მაჩვენებელი განაგრძობს არსებობას თუ შეიცვლება.

კომპანია ინდივიდუალურ საფუძველზე ახორციელებს ECL შეფასებას ყველა სახის ფინანსური ინსტრუმენტისთვის. ECL შეფასება ინდივიდუალურად ხდება თითოეული შესაძლო შედეგისთვის საკრედიტო ზარალის შეწონილი შეფასებით, თითოეული შედეგის სავარაუდო შედეგებთან მიმართებით. კომპანია განსაზღვრავს მინიმუმ ორ შესაძლო შედეგს თითოეული შეფასებული სესხისთვის, რომელთაგან ერთი იწვევს კრედიტის დაკარგვას, მაშინაც კი, თუ ასეთი სცენარის ალბათობა შეიძლება იყოს ძალიან დაბალი.

ზოგადად, ECL არის შემდეგი საკრედიტო რისკის პარამეტრების გამრავლების ჯამი: EAD, PD და LGD, რომლებიც განსაზღვრულია ზემოთ მოყვანილი განმარტებით და ფასდაკლებულია დღევანდელ ღირებულებამდე დოკუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ECL განისაზღვრება საკრედიტო რისკის პარამეტრების (EAD, PD და LGD) პროგნოზირებით თითოეული მომავლისთვის [თვე / წელი] მთელი პერიოდის განმავლობაში, თითოეული ინდივიდუალური ექსპოზიციისთვის. ეს სამი კომპონენტი მრავლდება ერთად და რეგულირდება არსებობის ალბათობის შესაბამისად (ე.ი. რისკი გადახდილია ან ვალდებულების შეუსრულებლობა დაფიქსირდა ადრეულ თვეში). ეს ეფექტურად ითვლის ECL- ს თითოეული მომავალი პერიოდისთვის, ანუ დისკონტირდება ანგარიშის თარიღით და შეჯამდება. ECL- ის გაანგარიშებაში გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი არის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ან მასთან მიახლოებული მაჩვენებელი.

საბაზრო რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიშობა ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტებში და (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ლიმიტები მისაღები რისკის მაჩვენებელთან მიმართებაში, რომელიც ყოველდღიურად კონტროლდება. თუმცა, ამგვარი მიდგომის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ლიმიტების გარეთ ზარალის თავიდან აცილებას, არსებითი ცვლილებების შემთხვევაში ბაზარზე.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი დამოკიდებულებები ეფუძნება ერთი კოეფიციენტის ცვლილებას, მაშინ როცა ყველა სხვა ფაქტორი რჩება უცვლელი. პრაქტიკაში ეს ნაკლებად მოსალოდნელია და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილებაც შესაძლებელია დარეგულირდეს – მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში და უცხოური ვალუტის კურსში.

სავალუტო რისკი. ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

ათასობით დოლარში	31 დეკემბერს 2019			31 დეკემბერს 2018		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ლარი	6,096	1,603	4,493	6,175	1,103	5,072
აშშ დოლარი	159	48,045	(47,886)	280	20,177	(19,897)
ევრო	3	-	3	5	3	2
სულ	**6,258**	**49,648**	**43,390**	**6,460**	**21,283**	**(14,823)**

ზემოაღნიშნული ანალიზი მოიცავს მხოლოდ მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს. ინვესტიციები არაფულადი აქტივებში ითვლება, რომ არ წარმოქმნის რაიმე არსებით სავალუტო რისკს.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია მოგების და ზარალის და ასევე კაპიტალის მგრძნობელობა შესაძლო ცვლილებების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს მოქმედი ვალუტის გაცვლით კურსში, კომპანიის საწარმოების ფუნქციონალურ ვალუტასთან დაკავშირებით, ხოლო ყველა სხვა ცვლადი მაჩვენებლები უცვლელი რჩება

მოცემულია ათასობით დოლარში	2019 წლის 31 დეკემბერს		2018 წლის 31 დეკემბერს	
	გავლენა მოგებასა და ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგებასა და ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
ქართული ლარი გამყარდა 10%-ით	449	449	507	507
ქართული ლარი გაუფასურდა 10%-ით	(449)	(449)	(507)	(507)
ევრო გამყარდა 10%-ით	-	-	-	-
ევრო გაუფასურდა 10%-ით	-	-	-	-

რისკი გამოითვალა მხოლოდ მონეტარული ნაშთებისთვის, რომლებიც დენომინირებულია კომპანიის საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის გარდა სხვა ვალუტებში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია იღებს რისკს, რომელიც დაკავშირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის ზემოქმედებასთან მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე. ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის დაქვემდებარებულობა საპროცენტო განაკვეთის რისკების მიმართ. ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საერთო თანხები საბალანსო ღირებულებით, რომელიც იყოფა საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთის გადახედვის ან დაფარვის ვადების მიხედვით.

ათასობით დოლარში	**12 თვემდე**	**1 წლიდან 5 წლამდე**	**5 წელზე მეტი**	**საპროცენტო განაკვეთის არმქონე**	**სულ**
31 დეკემბერი 2019					
სულ ფინანსური აქტივები	-	-	-	6,258	**6,258**
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,421	11,229	1,691	32,307	**49,648**
წმინდა საპროცენტო განაკვეთის მიმართ მგრძნობელობის სხვაობა 31 დეკემბერს 2019	(4,421)	(11,229)	(1,691)	(26,049)	**(43,390)**
31 დეკემბერი 2018					
სულ ფინანსური აქტივები	-	-	-	6,460	**6,460**
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	21,283	**21,283**
წმინდა საპროცენტო განაკვეთის მიმართ მგრძნობელობის სხვაობა 31 დეკემბერს 2018	-	-	-	(14,823)	**(14,823)**

კომპანიას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვისთვის, რადგან ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ აღნიშნული რისკი კომპანიის საქმიანობისთვის უმნიშვნელოა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც საწარმოს შეექმნება სირთულეები ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად ამოწმებს მის ხელთარსებულ ფულად სახსრებს. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობის მცოცავ პროგნოზებს ყოველთვიურად. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური რესურსების ბაზა, რომელიც ძირითადად შედგება სესხებისგან, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებებისგან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულებები მათი სახელშეკრულებო, დარჩენილი დაფარვის ვადის მიხედვით. ცხრილში მოცემული თანხები წარმოადგენს შეთანხმებულ არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

თუ გადასახდელი თანხა არ იქნება ფიქსირებული, გამყღავნებული თანხა განისაზღვრება ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული პირობების გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაყვანილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადიანობის მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასობით დოლარში	12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები (შენიშვნა9)	5,645	17,253	3,243	26,141
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები (შენიშვნა 14)	30,886	-	-	30,886
სხვა ფინანსური კრედიტორული დავალიანებები (შენიშვნა 14)	1,421	-	-	1,421
სულ მომავალი გადახდები, მათ შორის მომავალი ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდები	**37,952**	**17,253**	**3,243**	**58,448**

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადიანობის მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასობით დოლარში	12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ

ვალდებულებები				
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები (შენიშვნა 14)	20,714	-	-	20,714
სხვა ფინანსური კრედიტორული დავალიანებები (შენიშვნა 14)	569	-	-	569
სულ მომავალი გადახდები, მათ შორის მომავალი ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდები	**21,283**	-	-	**21,283**

22. ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შესახებ

სამართლიანი ღირებულების ანალიზი ხორციელდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით შემდეგნაირად: (i) პირველ დონეზე განიხილება შეფასება კვოტირებული ფასებით (შესწორებების გარეშე) იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე; (ii) მეორე დონეზე განიხილება შეფასებების მეთოდიკა აქტივების ან ვალდებულებებისთვის არსებული ყველა მატერიალური ხარჯებით, პირდაპირ (ანუ როგორც ფასები) ან არაპირდაპირ (ანუ გამოყვანილი ფასებიდან); და (iii) მესამე დონეზე განიხილება შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება სარწმუნო საბაზრო მონაცემებს (ანუ არასარწმუნო საწყისი მონაცემები). ხელმძღვანელობა მსჯელობს და ახორციელებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასება მოითხოვენ მნიშვნელოვან შესწორებას, ასეთი შეფასება არის მე-3 დონის შეფასება.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება გამჟღავნებულია.

ქვემოთ მოყვანილია დონეების მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით იმ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებისთვის, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით.

მოცემულია ათასობით დოლარში	2019 წლის 31 დეკემბერი				2018 წლის 31 დეკემბერი			
	დონე 1 - სამართლიანი ღირებულება	დონე 2 - სამართლიანი ღირებულება	დონე 3 - სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	დონე 1 - სამართლიანი ღირებულება	დონე 2 - სამართლიანი ღირებულება	დონე 3 - სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
ფინანსური აქტივები								

- სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებები	-	5,330	-	5,330	-	5,614	-	5,614
- ფული და ფულის ეკვივალენტები	-	928	-	928	-	846	-	846
არა ფინანსური აქტივები								
საინვესტიციო ქონება თვითღირებულებით	-	-	570	570	-	-	570	570
სულ აქტივები	**-**	**6,258**	**570**	**6,828**	**-**	**6,460**	**570**	**7,030**
ვალდებულებები								
სხვა ფინანსური ვალდებულებები								
სავაჭრო და სხვა ფინანსური კრედიტორული დავალიანებები	-	32,307	-	32,307	-	21,283	-	21,283
სულ ვალდებულებები	**-**	**32,307**	**-**	**32,307**	**-**	**21,283**	**-**	**21,283**

სამართლიანი ღირებულებები მათი იერარქიის მე-2 დონეზე შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადის შეფასების მეთოდის გამოყენებით. არაკვოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, გამოცხადებულს ახალი ინსტრუმენტებისთვის მსგავსი საკრედიტო რისკით და დაფარვისთვის დარჩენილი ვადიანობით. სამართლიანი ღირებულებები მათი იერარქიის მე-3 დონეზე შეფასდა საბაზრო შედარების მეთოდით უძრავი ქონების ფასებზე არსებული საჯარო ინფორმაციის გამოყენებით.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების საანგარიშო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სამომავლო მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, გამოცხადებული მსგავს საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია მეორე მხარის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. დაფარვის დადგენილი ვადის მქონე, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების საანგარიშო სამართლიანი ღირებულება შეფასდა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, გამოცხადებული მსგავს საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის.

23. კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზანია კაპიტალის მართვისას დაიცვას კომპანიის ყველა შესაძლებლობა, ისე რომ გააგრძელოს ფუნქციონირება უწყვეტ რეჟიმში, იმისათვის რომ უზრუნველყოს მეწილეებისთვის კაპიტალიდან მოგება და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის მოტანა, ასევე შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა კაპიტალთან დაკავშირებული ხარჯების შემცირების გზით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორებისთვის, კომპანიას შეუძლია შეცვალოს მეწილეებისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა, მეწილეებს დაუბრუნოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალდებულებების შემცირების მიზნით. კაპიტალის ის ოდენობა, რომელსაც კომპანია მართავდა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო 7,959 ათასი აშშ დოლარი (2018: 11,485 ათასი აშშ დოლარი).

24. მოვლენები ანგარიშგების პერიოდის შემდეგ

COVID-19. 2019 წლის ბოლოს პირველად გავრცელდა ახალი ამბები ჩინეთიდან COVID-19-ის (კორონავირუსი) შესახებ. წლის ბოლოს არსებული სიტუაციის მიხედვით, უცნობი ვირუსის შემთხვევების შეზღუდული რაოდენობა დარეგისტრირდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცის მიერ. 2020 წლის პირველ თვეებში ვირუსი გლობალურად გავრცელდა და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც მოიმატა. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ამ დაავადების გავრცელება წარმოადგენს არა-კორექტირებად ანგარიშგების შემდგომ მოვლენას.

2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობამ საგანგებო ვითარება გამოაცხადა 2020 წლის 21 მაისამდე. ამ პერიოდის განმავლობაში ამოქმედდა სხვადასხვა რეგულაცია, მათ შორის სრული კარანტინი, რომლის ფარგლებშიც დაწესდა აკრძალვა ყველა სახის ტრანსპორტირებაზე სპეციალური ნებართვის გარეშე. ამასთან, კომპანიამ განაგრძო მისი ბენზინგასამართი სადგურების ფუნქციონირება მნიშვნელოვანი რეგრესის გარეშე - სულ 80-დან მხოლოდ 8 სადგური დაიხურა ათი დღის განმავლობაში. გამოცხადებული საგანგებო სიტუაციის დროს კომპანიის გაყიდვები მნიშვნელოვნად შემცირდა - 90%-იანი ვარდნა დაფიქსირდა საბითუმო ვაჭრობაში, 15%–იანი შემცირება დაფიქსირდა სამთავრობო ტენდერების გაყიდვებში და 35% –იანი ვარდნა დაფიქსირდა საცალო ვაჭრობაში.

COVID-19–ის გავრცელების პარალელურად, ნავთობის ფასებმა განსაკუთრებული ვარდნა განიცადეს მარტი–აპრილის პერიოდში, აღნიშნული ფაქტი გამოიწვია 25 წლის განმავლობაში არსებული მოთხოვნილების მნიშვნელოვანმა ვარდნამ. მიუხედავად ამისა, კომპანიას ჰქონდა ნავთობის მარაგი, რის შედეგადაც, ნავთობის გლობალური ტენდენციები გაყიდვების ფასებზე საკმაოდ ნელა აისახა და იმის გათვალისწინებით რომ ქართული ლარი აშშ დოლარის მიმართ 15% –ით გაუფასურდა, ბენზინზე და დიზელზე გაყიდვების ფასები შემცირდა საშუალოდ 0.25 ლარით ლიტრზე.

2020 წლის მაისი-ივნისის პერიოდში გაყიდვები გაუმჯობესდა, რაც გამოწვეული იყო საგანგებო მდოგმარეობის შემდგომი გაზრდილი ეკონომიკური საქმიანობით. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივი

შედეგები ჩამორჩებოდა 2020 წლის ბიუჯეტს, მენეჯმენტი ზაფხულის განმავლობაში ელის დაბალანსებულ ზრდას. განახლებული ბიუჯეტის საფუძველზე, მოსალოდნელია, რომ 2020 წლის გაყიდვების რაოდენობა 10%-ით ნაკლები იქნება წინა წელთან შედარებით. ამასთან, მენეჯმენტი მიზნად ისახავს გამოიყენოს გაზრდილი კონტრიბუცია ოპერაციული ხარჯების დასაფარად. კომპანია არ ითვალისწინებს ლიკვიდობის კრიზისს, პერსონალის შემცირებას ან სადგურების დახურვას.

ახალი სადგურების გახსნა. კომპანიამ დაასრულა ოთხი ახალი ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობა, რომლებმაც დაიწყეს ფუნქციონირება 2020 წლის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა ადგილებში.

25. სააღრიცხვო პოლიტიკა 2019 წლის 1 იანვრამდე

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოიყენებოდა 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის და შესწორდა "ფასს" 16-ით, იჯარები შემდეგია:

საოპერაციო იჯარა. იმ იჯარებისთვის, სადაც კომპანია არის მოიჯარე საიჯარო ურთიერთობაში, რომლის ფარგლებშიც მეიჯარისგან კომპანიაზე არ გადადის არსებითად საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, იჯარასთან დაკავშირებული გადასახადები ასახულია პირდაპირ მოგებასა ან ზარალში წლის განმავლობაში იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ვადა არის არა-გაუქმებადი პერიოდი, რომლის ფარგლებშიც მოიჯარეს ხელშეკრულებით იჯარით აქვს აღებული აქტივი სხვა პირობებთან ერთად, რისთვისაც მოიჯარეს აქვს უფლება გააგრძელოს იჯარის ვადა, შემდგომი გადახდებით ან მის გარეშე, მაშინ როცა იჯარის დასაწყისშივე გონივრულად ცხადია, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის ვადის გაგრძელების უფლებას.

რომპეტროლ საქართველო

მმართველობითი ანგარიში

2019 წლისთვის

1. კომპანია და მისი საქმიანობა

რომპეტროლ საქართველო (შემდეგში - კომპანია) დაფუძნდა 2005 წლის 5 დეკემბერს და მოქმედებს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ჩამოყალიბებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციაში საიდენტიფიკაციო ნომრით 204493002.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო და ერთადერთი მაკონტროლებელი მხარე არის KMG INTERNATIONAL N.V (100%).

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საწვავის იმპორტი და ვაჭრობა საქართველოს ტერიტორიაზე საცალო და საბითუმო არხებით. კომპანია არის ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშე საქართველოს ბაზარზე. 2019 წლის განმავლობაში კომპანიაში დასაქმებული იყო დაახლოებით 763 თანამშრომელი.

2. კომპანიის სამუშაო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საწვავის იმპორტი და ვაჭრობა საქართველოს ტერიტორიაზე საცალო და საბითუმო არხებით.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ გახორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ სფეროებში განვითარებასთან ერთად.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი იღებს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

3. ადამიანური რესურსების პოლიტიკა

2019 წლის მდგომარეობით, რომპეტროლ საქართველოში დასაქმებული იყო 763 ადამიანი, რომელთაგანაც დაახლოებით 2% არის ტოპ და საშუალო რგოლი მენეჯერები და 10% ოფისიდან მომუშავე სხვადასხვა პროფესიონალი, ხოლო დანარჩენი თანამშრომლები არიან ბაზებზე და ავტოგასამართ სადგურებზე მომუშავე პირები.

რომპეტროლ საქართველო არის ქართულ ბაზარზე ერთ-ერთი საუკეთესო დამსაქმებელი, რომელიც თანამშრომლებზე მორგებულ განვითარების სხვადასხვა პროგრამებს სთავაზობს მათ.

თანამშრომლობის და ტალანტების განვითარების პროგრამების ეფექტურად განხორციელებისთვის გამოყოფილი ფონდი შეადგენს მთლიანი საკადრო ხარჯების 2%-ს.

კომპანია ეფექტურად იყენებს თანამშრომლების შეფასების სისტემას, რომელიც მოიცავს ეფექტურობისა და სამუშაოს შესრულების მენეჯმენტს KPI, MBOs და კომპეტენციის მოდელებით. თანამშრომლებს (კომერციული და საცალო ქსელის დეპარტამენტების გარდა) აქვთ საშუალება მიიღონ ყოველწლიური პრემია, მათი ინდივიდუალური მიღწევების საფუძველზე, შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის შედეგების მიხედვით.

რაც შეეხება კომერციულ და საცალო ქსელის თანამშრომლებს, მოქმედებს ეფექტური კვარტალური საბონუსე სისტემა და კვარტალური ანაზღაურებები დაფუძნებულია გეგმების ფაქტიურ შესრულებაზე.

კომპანიისთვის თანამშრომლების კეთილდღეობა არის უმთავრესი პრიორიტეტი. შესაბამისად, კომპანია თანამშრომლებს სთავაზობს ძალიან მდიდარ და მრავალფეროვან თანამშრომელთა საბენეფიტო პროგრამებს. მაგალითად, დასაქმებულთა დამატებითი ბენეფიტების პროგრამები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით: დასაქმებულის წილი საპენსიო ფონდში გადასახდელის გადახდა, ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამები, მათ შორის სიცოცხლის დაზღვევა და მოგზაურობის დაზღვევა, სპორტული აკადემია, დამატებით 4 დასვენების დღე ქვეყნის მიერ გამოცხადებულ დასვენების დღეების გარდა, სწავლისთვის გამოყოფილი სპეციალური შვებულების დღეების ანაზღაურება, მოკლე სამუშაო დღე პარასკევს ოფისის თანამშრომლებისთვის და სხვა.

4. კომპანიის განვითარების სტრატეგია

კომპანიის განვითარების სტრატეგია კონცენტრირებულია მისი საცალო ქსელის განვითარებაზე, საქართველოს სხვადასხვა ადგილას ახალი ავტო გასამართი სადგურების გახსნის გზით. ამასთან, კომპანიისთვის მომხმარებელთა კმაყოფილება პრიორიტეტულია და ის მუდმივად მუშაობს მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებაზე. პერიოდულად ხდება სხვადასხვა ტიპის კვლევები მომხმარებელთა კმაყოფილების, მომსახურების ხარისხის, ბრენდის მდგრადობის და საწვავის ბაზარზე პოზიციონირების მონიტორინგის მიზნით.

2017 წლის აგვისტოში ლოიალურობის პროგრამის ამოქმედების შემდეგ, ერთგული მომხმარებლების ბაზა 2018 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მონაცემებით 139,413-დან გაიზარდა და 2019 წლის ბოლოსთვის 192,022 მომხმარებლამდე.

5. კომპანიის მთავარი ფინანსური ინდიკატორი

ათასებში აშშ დოლარში	2019	2018
შემოსავალი საწვავის საცალო გაყიდვიდან	156,743	154,726
შემოსავალი საწვავის საბითუმო გაყიდვიდან	43,441	46,241
შემოსავალი მაღაზიის გაყიდვიდან	87	51
მთლიანი შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან	**200,271**	**201,018**

6. ფინანსური რისკები

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ, ოპერაციულ და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და ფასთან დაკავშირებული სხვა რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი მიზანია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკისადმი მგრძნობელობის შენარჩუნება აღნიშნულ ლიმიტებში. ოპერაციული და იურიდიული რისკების მართვა ხდება შიდა პოლიტიკითა და პროცედურებით, რომელიც მიმართულია ოპერაციული და იურიდიული რისკების შემცირების მიზნით.

საბაზრო რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიშობა ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტებში და (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ლიმიტები მისაღები რისკის მაჩვენებელთან მიმართებაში, რომელიც ყოველდღიურად კონტროლდება. თუმცა, ამგვარი მიდგომის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ლიმიტების გარეთ ზარალის თავიდან აცილებას, არსებითი ცვლილებების შემთხვევაში ბაზარზე.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი დამოკიდებულებები ეფუძნება ერთი კოეფიციენტის ცვლილებას, მაშინ როცა ყველა სხვა ფაქტორი რჩება უცვლელი. პრაქტიკაში ეს ნაკლებად მოსალოდნელია და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილებაც შესაძლებელია დარეგულირდეს – მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში და უცხოური ვალუტის კურსში.

სავალუტო რისკი. ქვემოთ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

ათასობით დოლარში	31 დეკემბერს 2019			31 დეკემბერს 2018		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ლარი	6,096	1,603	4,493	6,175	1,103	5,072
აშშ დოლარი	159	48,045	(47,886)	280	20,177	(19,897)
ევრო	3	-	3	5	3	2
სულ	**6,258**	**49,648**	**43,390**	**6,460**	**21,283**	**(14,823)**

ზემოაღნიშნული ანალიზი მოიცავს მხოლოდ მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს. ინვესტიციები არაფულადი აქტივებში ითვლება, რომ არ წარმოქმნის რაიმე არსებით სავალუტო რისკს.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია მოგების და ზარალის და ასევე კაპიტალის მგრძნობელობა შესაძლო ცვლილებების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს მოქმედი ვალუტის გაცვლით კურსში, კომპანიის საწარმოების ფუნქციონალურ ვალუტასთან დაკავშირებით, ხოლო ყველა სხვა ცვლადი მაჩვენებლები უცვლელი რჩება

მოცემულია ათასობით დოლარში	2019 წლის 31 დეკემბერს		2018 წლის 31 დეკემბერს	
	გავლენა მოგებასა და ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგებასა და ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
ქართული ლარი გამყარდა 10%-ით	449	449	507	507

ქართული ლარი გაუფასურდა 10%-ით	(449)	(449)	(507)	(507)
ევრო გამყარდა 10%-ით	-	-	-	-
ევრო გაუფასურდა 10%-ით	-	-	-	-

რისკი გამოითვალა მხოლოდ მონეტარული ნაშთებისთვის, რომლებიც დენომინირებულია კომპანიის საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის გარდა სხვა ვალუტებში.

7. კვლევა და განვითარება

კომპანიამ მტკიცედ შეინარჩუნა ბრენდის იმიჯი, ქსელის შენარჩუნების კომპლექსური პროგრამის საშუალებით, სადგურებში მომსახურების და პროდუქტის გაუმჯობესებულ ხარისხთან და სპექტრთან ერთად და, უფრო მეტიც, ინტენსიური მარკეტინგული და საკომუნიკაციო კამპანიის საშუალებით, გაყიდვების ყველა არხის მიმართულებით. კომპანია ასევე ორიენტირებულია ციფრული მომსახურების მუდმივ განვითარებაზე, მათ შორის, საცალო და კორპორატიული კლიენტებისთვის მობილური აპლიკაციის შემუშავებაზე.

ქართული ბაზრის ერთ-ერთი თავისებურებაა ლოიალურობის პროგრამების პოპულარობა. კომპანიები იყენებენ ბარათებს, კუპონებს, ონლაინ პროგრამებს, რათა შესთავაზონ ფასდაკლებები ან ქულების დაგროვება სხვადასხვა მექანიზმები, კომპანიის კლიენტების ერთგულების მოსაპოვებლად. ბაზარი კარგად იცნობს ამ ტიპის პროგრამის გამოყენებას. 2019 წლის განმავლობაში კომპანიაში მიმდინარეობდა ინტენსიური ქსელის განვითარებისა და შენარჩუნების პროცესი და ლოიალურობის პროგრამის პოპულარიზაციისთვის სარეკლამო კამპანიის ჩატარება იყო ძლიერი მესიჯი მარკეტინგისთვის, რომ კომპანია ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე, მისი ერთგული მომხმარებლების შენარჩუნებაზე და ახალი კლიენტების მოზიდვაზე, ამრიგად, ინვესტიციების განხორციელება კომპანიის გრძელვადიანი ვალდებულებაა.

8. COVID-19

COVID-19. 2019 წლის ბოლოს პირველად გავრცელდა ახალი ამბები ჩინეთიდან COVID-19-ის (კორონავირუსი) შესახებ. წლის ბოლოს არსებული სიტუაციის მიხედვით, უცნობი ვირუსის შემთხვევების შეზღუდული რაოდენობა დარეგისტრირდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცის

მიერ. 2020 წლის პირველ თვეებში ვირუსი გლობალურად გავრცელდა და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც მოიმატა. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ამ დაავადების გავრცელება წარმოადგენს არა-კორექტირებად ანგარიშგების შემდგომ მოვლენას.

2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობამ საგანგებო ვითარება გამოაცხადა 2020 წლის 21 მაისამდე. ამ პერიოდის განმავლობაში ამოქმედდა სხვადასხვა რეგულაცია, მათ შორის სრული კარანტინი, რომლის ფარგლებშიც დაწესდა აკრძალვა ყველა სახის ტრანსპორტირებაზე სპეციალური ნებართვის გარეშე. ამასთან, კომპანიამ განაგრძო მისი ბენზინგასამართი სადგურების ფუნქციონირება მნიშვნელოვანი რეგრესის გარეშე - სულ 80-დან მხოლოდ 8 სადგური დაიხურა ათი დღის განმავლობაში. გამოცხადებული საგანგებო სიტუაციის დროს კომპანიის გაყიდვები მნიშვნელოვნად შემცირდა - 90%-იანი ვარდნა დაფიქსირდა საბითუმო ვაჭრობაში, 15%–იანი შემცირება დაფიქსირდა სამთავრობო ტენდერების გაყიდვებში და 35% –იანი ვარდნა დაფიქსირდა საცალო ვაჭრობაში.

COVID-19–ის გავრცელების პარალელურად, ნავთობის ფასებმა განსაკუთრებული ვარდნა განიცადეს მარტი–აპრილის პერიოდში, აღნიშნული ფაქტი გამოიწვია 25 წლის განმავლობაში არსებული მოთხოვნილების მნიშვნელოვანმა ვარდნამ. მიუხედავად ამისა, კომპანიას ჰქონდა ნავთობის მარაგი, რის შედეგადაც, ნავთობის გლობალური ტენდენციები გაყიდვების ფასებზე საკმაოდ ნელა აისახა და იმის გათვალისწინებით რომ ქართული ლარი აშშ დოლარის მიმართ 15% –ით გაუფასურდა, ბენზინზე და დიზელზე გაყიდვების ფასები შემცირდა საშუალოდ 0.25 ლარით ლიტრზე.

2020 წლის მაისი-ივნისის პერიოდში გაყიდვები გაუმჯობესდა, რაც გამოწვეული იყო საგანგებო მდგომარეობის შემდგომი გაზრდილი ეკონომიკური საქმიანობით. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივი შედეგები ჩამორჩებოდა 2020 წლის ბიუჯეტს, მენეჯმენტი ზაფხულის განმავლობაში ელის დაბალანსებულ ზრდას. განახლებული ბიუჯეტის საფუძველზე, მოსალოდნელია, რომ 2020 წლის გაყიდვების რაოდენობა 10%-ით ნაკლები იქნება წინა წელთან შედარებით. ამასთან, მენეჯმენტი მიზნად ისახავს გამოიყენოს გაზრდილი კონტრიბუცია ოპერაციული ხარჯების დასაფარად. კომპანია არ ითვალისწინებს ლიკვიდობის კრიზისს, პერსონალის შემცირებას ან სადგურების დახურვას.

30 ივნისი, 2020 წ.

ფინანსური დირექტორი: მალიკ ტულეკოვი (ხელი მოწერილია)

გენერალური დირექტორი: ზამანბეკ მირზაიანოვი (ხელი მოწერილია)

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N200492011
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	28.07.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო ხოფერია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 32 2 98 70 24
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	54225846042320

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მასში შეტანილი შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

მე, ნოტარიუსი ნინო ხოფერია, ვადასტურებ თარჯიმნის **ვიქტორია დანიელოვას** (დაბ. 29.05.1993. მცხოვრები: ქ. თბილისი, ოთარ თაქთაქიშვილის ქუჩა, N 16/33, ბინა 6, პირადი ნომერი: 01008052263, ხელმოწერის ნამდვილობას. თარჯიმანმა, **ვიქტორია დანიელოვამ** წარმოადგინა ენის დამადასტურებელი დოკუმენტი, ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დიპლომი (№ 002558), მე გავაფრთხილე მთარგმნელი იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. მთარგმნელმა ჩემს წინაშე დაადასტურა, რომ თარგმანი ზუსტია და თარგმანზე ხელი მოაწერა ჩემი თარდასწრებით.

დოკუმენტი შედგენილია ერთ ეგზემპლარად.

დოკუმენტზე დასმულია 67 (სამოცდაშვიდი) ხელმოწერა.

სანოტარო საზღაური - 134.00 (ას ოცდათოთხმეტი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. #507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31-სა, აგრეთვე დღგ (18%) საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე და 2 (ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად. სულ გადახდილია 160.12 (ას სამოცი) ლარი და თორმეტი) თეთრი.

ნოტარიუსი ნინო ხოფერია.